ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Alkhali Taoba

19 ოქტომბრიდან!
„ახალი თაობა“+
ბელა ალანია
ფიქრებით ნაქსოვი ფარდაგი
ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი



ორშაბათი, 21 ოქტომბერი, 2013 №249 (6250) ფასი: 30 თეთრი

რატომ შევიდა თავდაცვის სამინისტროში პროკურატურა

ირაკლი ალასანია საბოტაჟზე ალაპარაკდა

გვ.5

თემურ შაშიაშვილი: „ბიძინა ივანიშვილმა უნდა გვითხრას, სინამდვილეში რატომ გადაემტერა ალასანიას“

კახა კუკავას თანაპარტიელებს მეოცნებეებზე მაღალი რეიტინგი აქვთ?

გვ.4

ნანა დევდარიანი: „პრემიერი ძალადობაზე გადავიდა“

გვ.3

კეზერაშვილი გაურკვეველი მიზეზით არის დაკავებული

პატრიარქი მოსახლეობას არჩევნებზე მისვლისა და ხმის მიცემისკენ მოუწოდებს

გვ.2

კახა კოჟორიძე: „ცხელში „მაყურებლები“ ისევ არიან“

გვ.2

მაია ფანჯიკიძე: „თუ ოლიმპიადაში მონაწილეობა საქართველოსთვის შეურაცხმყოფელი იქნება, ხელისუფლება ამ საკითხს გადახედავს“

გვ.7

ISSN 1987-9385

7 ახალაიადან ალასანიამდე ანუ ტირანიიდან დიარეამდე

6 ზაალ კასრელიშვილი: „საქართველოს წინააღმდეგ შავი პიარი გორდება“

3 ნინო ბურჯანაძე: „გიორგი მარგველაშვილი პირველ ტურში გასასვლელ ხმებსაც კი ვერ აიღებს“

6 ახალგაზრდა ადვოკატები საგანგებო განცხადებას ავრცელებენ

კახა კოჟორიძე: „ციხეში „მაყურებლები“ ისევ არიან“

ნათია ხურცილავა

ინტერვიუ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარე კახა კოჟორიძესთან

– ბატონო კახა, ციხეში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის საქმის გამოძიება, რამაც შეიძლება ითქვას, არჩევნებზე წინა ხელისუფლების ბედი გადაწყვიტა, თუ არის ბოლომდე მიყვანილი, გამოძიება თუ არის ადეკვატური?

– გამოსაძიებელია ის საქმეები, რასაც ადგილი ჰქონდა აქამდე ციხეებში, ვგულისხმობ, სანამ ახალი ხელისუფლება მოვიდოდა ქვეყნის სათავეში. თუ ჩვენ შევადარებთ მთელ განვლილ პერიოდს ამ ხნის განმავლობაში ციხეებში მდგომარეობა აშკარად გაუმჯობესდა და ეს ფაქტია. თუმცა, პრობლემები კვლავ არსებობს. ვიმეორებ, ერთი მხრივ, გამოსაძიებელია ის საქმეები, რასაც ციხეებში ადრე ჰქონდა ადგილი. ვგულისხმობ წამების ფაქტებს, არაადამიანური მოპყრობის ფაქტებს. იმის გათვალისწინებით, რომ წინა ხელისუფლების მიერ მოხდა აღიარება, რომ ეს იყო სისტემური დანაშაულებრივი ჯაჭვი, საუბარია მთელ სისტემაზე, მხოლოდ რამდენიმე საქმეზე დამდგარი განაჩენი არ არის საკმარისი. სავარაუდოდ, უფრო მეტი ადამიანი იყო არადამიანური მოპყრობით დაკავებული. თუნდაც, ის მეტყველებს ამაზე, რომ ჩვენ ამ ფაქტებთან დაკავშირებით უამრავ წერილს ვიღებთ. ამ წერილებს დღემდე ვიღებთ და ეს ადამიანები ითხოვენ მათი საქმეები გამოიძიონ. ასევე ამბობენ იმას, რომ მიუხედავად იმისა, საკადრო კუთხით გარკვეული ცვლილებები მოხდა, მაინც არიან დარჩენილები ის ადამიანები, ვინც პატიმრების წამებასა და არაადამინურ მოპყრობაში მონაწილეობდა. ამიტომ გამოძიებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ასევე ძალიან ბევრი რამეა გასაკეთებელი სისტემური კუთხით.

– კონკრეტულად მაინც რა?

– თუნდაც ის, რომ მოსამართლის როლია ასამაღლებელი. იმ გაგებით, როდესაც ის ხედავს ან აქვს მინიშნება, რომ განსასჯელი პირი არის არაადამიანური მოპყრობისა თუ წამების მსხვერპლი, მან უნდა მიაქციოს ყურადღება და გამოძიების დაწყება მოითხოვოს.

– ე.წ. მაყურებლის ინსტიტუტთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ, როგორც სასჯელაღსრულების მინისტრი აცხადებს, ციხეებში ეს პრობლემა ყოველთვის იყო და ახლა არ გაჩენილა?

– ჩვენი ადვოკატები, რომლებიც ციხეებში ადრეც შედიოდნენ და ახლაც შედიან, ისინიც ამბობენ, რომ ე.წ. მაყურებლის ინსტიტუტი ადრეც იყო. გეტყვით, რა მოხდა: რადგან ახლა სხვა პრობლემები შემცირდა, კონკრეტულად ადმინისტრაციის დამოკიდებულება აღარ არის კანონს მიღმა ან მინიმუმამდეა დაყვანილი, ეს ინსტიტუტი უფრო გაძლიერდა. მე ვიტყოდი, უფრო გამოვიდა სააშკარაოზე, მაგრამ ადრე რომ არსებობდა, ცხადია ეს არ არის გამართლება, რომ დღესაც იარსებოს. ეს ძალიან სერიოზული პრობლემაა. ბოლო პერიოდში ძალიან ხშირად ისმის ამ პრობლემის შესახებ. მაგალითად, ქუთაისის ციხეზეა საუბარი, სხვა ციხეებზეც. რამდენიმე შემთხვევა სერიოზულ, მძიმე, ფატალურ შედეგამდეც მივიდა. ამიტომ ქმედითი ღონისძიებები აუცილებელია.

– როგორ უნდა ებრძოლოს სამინისტრო კანონის ჩარჩოებში „მყურებლის ინსტიტუტს“, რომ რეალურად არ გვქონდეს ციხეებში მსგავსი პრობლემები? როგორია თქვენი რეკომენდაციები?

– პირველი, როდესაც „მაყურებელი“ თუ ციხის ადმინისტრაციის თანამშრომელი რაიმე სახის დანაშაულს, სამართალდარღვევას ჩაიდენს, გამოძიება უმალვე უნდა დაიწყოს. ციხის ადმინისტრაციამ უნდა განსაზღვროს ძალიან ნათელი, სწორი და პრინციპული პოზიცია, რომ არავინ გაბედოს „მაყურებლის“ თანამონაწილეობით რაღაც საკითხის გადაწყვეტა. თითოეულ ასეთ შემთხვევას უნდა კონკრეტული, დეტალური გამოძიება და რაც მთავარია, სათანადოდ პრინციპული მიდგომა. ეს არ არის ადვილად მოსაგვარებელი პრობლემა. თუმცა, ამ მიმართულებით სერიოზული ნაბიჯები, რასაკვირველია, გადასადგმელია.

– მსგავს საქმეებზე გამოძება თავად უწყებამ უნდა დაიწყოს? ანუ შიდა გამოძიებას გულისხმობთ თუ პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩართვას? დღეს არსებული მოდელით როგორ არის ეს დარეგულირებული?

– დღეს არსებული მოდელით ამ საკითხზე გამოძიების უფლება სასჯელაღსრულების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს აქვს. ჩვენი მიდგომაა, რომ პროკურატურა უნდა ჩაერთოს და ვალდებულია ჩაერთოს იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციის თანამშრომლების დანაშაულებრივი ქმედებაც გამოიკვეთება, მაგალითად, „მაყურებლებთან“ კავშირში, მაგრამ თუ „მაყურებელი“ დამოუკიდებლად მოქმედებს, მაგრამ ძალიან მაღალია ალბათობა, რომ ის დამოუკიდებლად ვერ იმოქმედებს, ასეთ შემთხვევაში საკმარისი იქნება, თუ სასჯელაღსრულების სამინისტროს საგამოძიებო სამსახური აწარმოებს გამოძიებას.

– საუბარია, სახალხო დამცველის ოფისის მონიტორების გარდა ციხეებში სამოქალაქო სექტორიდან დაკომპლექტებული მონიტორების შესვლაზე. ამას, როგორც ვიცი, სასჯელაღსრულების სამინისტრო ეწინააღმდეგება გარკვეული მოსაზრებით? თქვენი პოზიცია როგორია?

– საუბარია იმაზე, რომ იმ მონიტორინგთან ერთად, რასაც სახალხო დამცველთან არსებული პრევენციის მექანიზმი ახორციელებს, ასევე შემოღებულ იქნეს საზოგადოებრივი მონიტორინგი, რაც გულისხმობს იმას, რომ ციხეების მონიტორინგის გამოცდილების მქონე არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ამ სფეროში მუშაობენ, მიეცეთ დამატებითი შესაძლებლობა, მონიტორინგი განახორციელონ. როდესაც გადავდივართ კონკრეტულ თემაზე – რომელმა უწყებამ უნდა გასცეს ნებართვა არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომ მონიტორინგი განახორციელონ, აქ ათასი აზრთა სხვადასხვაობაა და შთაბეჭდილება რჩება, რომ ყველა უწყებას სურს, თავიდან აირიდოს პასუხისმგებლობა. არადა, ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. ჩვენ მიერ შემუშავებული მექანიზმით, ყველაზე რელევანტური იქნება ის, რომ პარლამენტმა გასცეს მსგავსი ნებართვა.

რატომ შევიდა თავდაცვის სამინისტროში პროკურატურა

ირაკლი ალასანია საბოტაჟზე ალაპარაკდა

შორენა მარსაგიშვილი

თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას თავზე შავმა ღრუბლებმა მოიყარეს თავი. როგორც ამბობენ, პრემიერ ივანიშვილს ერთი სული აქვს, როდის შეიცვლება ამირსპასალარი. მთავრობის მეთაური მას უკვე ღიად აკრიტიკებს. თავდაცვის მინისტრს კოლეგებიც აუმხედრდნენ. მის წინააღმდეგ ჯერ ღიად არავინ ილაშქრებს, მაგრამ კულუარული ბრძოლა დაწყებულია. ბოროტი ხმები იმასაც ამტკიცებენ, რომ ალასანიას, შესაძლოა, გვერდით არც თანაგუნდელები დაუდგნენ.

თავდაცვის მინისტრს დიდი პოლიტიკური გამოცდილება აქვს და გულხელდაკრეფილი არც ის იჯდება. ამჯერად ის საბოტაჟზე ალაპარაკდა. სამხედრო უწყებაში ბოლო ჟამს ბევრი უცნაურობები ხდება. სამხედრო მოსამსახურეთა მოწამვლის ფაქტები უკვე საეჭვო ხასიათს იძენეს.

გახშირებული მოწამვლის ფაქტებს აქამდე სამხედრო პოლიცია სწავლობდა. ამ დღეებში კი ეს საქმე შესასწავლად მთავარ პროკურატურას გადაეცა.

– 2013 წლის 9 ივნისიდან – 2013 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მთელ რიგ დანაყოფებში გამოვლინდა ჯარისკაცთა კვებითი ინტოქსიკაციისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უხეში დარღვევის არაერთი ფაქტი, რის საფუძველზეც, თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციამ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 198-ე და 248-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით დაიწყო გამოძიება რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეზე.

სრული, ყოველმხრივი და მიუკერძოებელი გამოძიების უზრუნველსაყოფად, აღნიშნული საქმეები ამოღებულია სამხედრო პოლიციის წარმოებიდან და გამოსაძიებლად გადაეცა საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილს. მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილი სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური წესების დარღვევის ფაქტების პარალელურად შეისწავლის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცალკეულ თანამდებობის პირთა მიერ კვების, მომსახურების, შესყიდვების კანონიერებას და კონტრაქტორი კომპანიების მიერ დადგენილ სტანდარტებთან შეუსაბამო პროდუქტებისა და მომსახურების მიწოდების იმ ფაქტებს, რამაც სავარაუდოდ შესაძლებელი გახადა ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში პროდუქციის დამზადება, შემოტანა ან რეალიზაცია, – აღნიშნულია პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ამ ფაქტს თავდაცვის მინისტრი მალევე გამოეხმაურა. ირაკლი ალასანია არ გამორიცხავს, რომ სამხედრო მოსამსახურეების მოწამვლის ფაქტებთან დაკავშირებით საქმე საბოტაჟთან გვქონდეს.

– რაც შეეხება ბოლო პერიოდის მოვლენებს, გამოძიება მიმიდინარეობს რამდენადაც მაქვს ინფორმაცია, შეიძლება საბოტაჟთანაც გვქონდეს საქმე, მაგრამ მოვლენებს წინ არ გავასწრებთ. გამოძიება უახლოეს მომავალში დასრულდება. გამოძიებული საქმეების ნაწილი ჩვენ პროკურატურაში გადავაგზავნეთ და ნაწილს კი ჩვენ თვითონ ვიძიებთ, – განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

ალასანია ეჭვობს, რომ მიზანმიმართულ პოლიტიკურ თავდასხმებს აქვს ადგილი. რომელიც ქართული ჯარის დისკრედიტაციას ისახავს მიზნად.

– ჩემს წინააღმდეგ მიზანმიმართული პოლიტიკური თავდასხმები ადრეც ყოფილა და ეს ნაკლებად მაღელვებს, მთავარი პრობლემაა ის, რომ მიდის მიზანმიმართული კამპანია ქართული ჯარის დისკრედიტაციისთვის, ვგულისხმობ არა ბოლო პერიოდის მოვლენებს, არამედ, ეს ყველაფერი მოდის მაისიდან, როცა დაიწყო ქართული ჯარის და ნატოში ჩვენი გაწევრიანების დისკრედიტაცია, – აღნიშნა ირაკლი ალასანიამ.

იმედია, პროკურატურა ამ ფაქტებს დროულად და ობიექტურად გამოიძიებს. ამ ყველაფერს საეჭვო ელფერი კი დაჰკრავს, მაგრამ ვინ იცის ეგება სხვა რამე ხდება. გამოძიების დასრულებამდე კი ერთი რამ არის ნათელი, ირაკლი ალასანია მეოცნებეებისთვის უკვე მიუღებელი გახდა.

პატრიარქი მოსახლეობას არჩევნებზე მისვლისა და ხმის მიცემისკენ მოუწოდებს

საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II, მოსახლეობას 27 ოქტომბრის არჩევნებზე საარჩევნო ყუთებთან მისვლისა და ხმის მიცემისკენ მოუწოდებს. ამის შესახებ უწმინდესმა გუშინ სვეტიცხოველში საკვირაო ქადაგებისას ბრძანა.

პატრიარქის თქმით მოსახლეობამ იმას უნდა მისცეს ხმა, ვისაც საქართველოს დახმარება შეუძლია.

,,პრეზიდენტის არჩევნებამდე ერთი კვირა დარჩა და მე მოვუწოდებ ჩვენ მოსახლეობას, რომ მივიდნენ და მისცენ ხმა იმას, რომელსაც შეუძლია საქართველოს დაეხმაროს“ -განაცხადა პატრიარქმა.

ნიუსპრესი

მამა მიქაელი ეპოსკოპოსად აკურთხეს

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II წირვა სვეტიცხოვლის ტაძარში ჩაატარა. გუშინდელ წირვაზე მეუფე მიქაელი თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპოსკოპოსად აკურთხეს.

როგორც პატრიარქმა გასულ კვირას ბრძანა, ახლად დადგენილი მღვდელმთავრების კურთხევა ყოველ კვირას სვეტიცხოველში მოხდება. უწმინდესი სულ შვიდი ახალი ეპარქიის მღდველმთავარს აკურთხებს. შეგახსენებთ, რომ წმინდა სინოდის 11 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, საქართველოში შვიდი ახალი ეპარქია შეიქმნა.

მედიანიუსი

დავით ბაქრაძე სამეგრელოში ამომრჩეველს შეხვდა

ნაციონალური მოძრაობის პრეზიდენტობის კანდიდატი დავით ბაქრაძე სამეგრელოში ამომრჩეველს შეხვდა. მან შეხვედრები წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მარტვილისა და აბაშის მოსახლეობასთან გამართა.

,,საქართველოს დღეს სჭირდება მომავალი პრეზიდენტი, რომელიც, პირველ რიგში, მთავრობას გააკონტროლებს, შეასრულებინებს დაპირებებს და ამ გზით გადაჭრის ყველა იმ პრობლემას, რომელიც დღეს ჩვენს ხალხს აწუხებს უმუშევრობას, სიღარიბეს და სოციალურ სირთულეებს“– აღნიშნა დავით ბაქრაძემ.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გიორგი მარგველაშვილი და თამარ სანიკიძე პედაგოგებს შეხვდნენ

კოალიცია „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი და განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე, გუშინ პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში, პედაგოგებს შეხვდნენ. მათ განათლების სფეროში მიმდინარე პროცესებსა და რეფორმებზე ისაუბრეს.

როგორც, გიორგი მარგველაშვილმა შეხვედრის დასრულების შემდეგ აღნიშნა, გაპრეზიდენტების შემთხვევაში, მისი მუშაობის მთავარი მიმართულება საგანმანათლებლო სისტემის გაძლიერება იქნება.

,,ჩვენს საზოგადოებაში მასწავლებლობა ერთ-ერთი ყველაზე პატივსაცემი პროფესიაა. ვთვლი, რომ საქართველოს მომავალი განათლებასა და ჩვენი პედაგოგების ღვაწლზეა დამყარებული. არჩევნების შემდეგ, ჩემი მუშაობის მთავარი მიმართულება საგანმანათლებლო სისტემის ბოლომდე გაძლიერება და მასწავლებელთა სტატუსის ამაღლება იქნება“ -განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

ნიუსპრესი

ნინო ბურჯანაძე: „გიორგი მარგველაშვილი პირველ ტურში გასასვლელ ხმებსაც კი ვერ აიღებს“



გიორგი მარგველაშვილი არათუ 60%-ს, არამედ პირველ ტურში გასასვლელ ხმებსაც კი ვერ მიიღებს, იმიტომ კი არა რომ ცუდი ბიჭია, არამედ იმიტომ რომ ქვეყანას პრეზიდენტად მცოდნე, გამოცდილი და კომპეტენტური ადამიანი სჭირდება– ეს განცხადება პარტია ,,დემოკრატიული მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატმა ნინო ბურჯანაძე სამეგრელოში, ამომრჩეველთან შეხვედრაზე გააკეთა.

საპრეზიდენტო კანდიდატი წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, სამეგრელოს რეგიონში მეორედ ჩავიდა.

როგორც „დემოკრატიული-მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატმა ზუგდიდის მოსახლეობასთან შეხვედრაზე განაცხადა, საქართველოს პრეზიდენტად ისეთი ადამიანი სჭირდება, რომელიც ქვეყანას სწორ გზაზე წაიყვანს.

„მე ვიცი რა უნდა გავაკეთო იმისათვის, რომ ქვეყანა სამშვიდობოზე გავიყვანო. ვიცი როგორი საგარეო პოლიტიკა უნდა წარვმართო იმისთვის, რომ დასავლეთთან, აღმოსავლეთთან და სამხრეთთანაც კარგი ურთიერთობა გვქონდეს, მაგრამ ამავდროულად, მოვაგვაროთ რუსეთთან ურთიერთობაც. ეს სჭირდება საქართველოს, ამ კუთხეს. დღეს სამეგრელო ჩიხია და ასე აღარ უნდა იყოს“ – განაცხადა ბურჯანაძემ.

მისივე თქმით, რუსეთის ბაზარი სტაბილურად უნდა გაიხსნას.

„რუსულ ბაზარზე უნდა გავიდეს ქართული თხილიც, მანდარინიც, ჩაიც, თამბაქოც, ვაშლიც, ატამიც და ყურძენიც. ერთი გადამამუშავებელი ქარხანა ეყოფა პირველ ხანებში ამ რეგიონს, რომ ასეულობით ახალგაზრდამ მუშაობა დაიწყოს და სიგარეტის ფულს პენსიონერ დედას არ ართმევდეს“ – განაცხადაბურჯანაძემ.

ნიუსპრესი

ნანა დევდარიანი: „პრემიერი ძალადობაზე გადავიდა“

კეზერაშვილი გაურკვეველი მიზეზით არის დაკავებული

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელ ნანა დევდარიანთან

– ქალბატონო ნანა, რას ნიშნავს პრემიერის განცხადება, რომ თუ მეორე ტური იქნება, მარგველაშვილმა მასში მონაწილეობა არ უნდა მიიღოსო, რომელსაც მარგველაშვილიც დაეთანხმა... თუკი შეიქმნა მეორე ტურის აუცილებლობა, მაშინ?

– ეს არის პირდაპირ ძალადობა, რას ჰქვია, მეორე ტურში არ მივიღებ მონაწილეობას, გავიბუტები, წავალ, ენთუზიაზმს დავკარგავ... ძალიან არასერიოზულია ეს განცხადებები. მთლიანობაში ეს ყველაფერი კარგად ადასტურებს იმას, რომ არ არის ივანიშვილი დარწმუნებული თავისი კანდიდატის გამარჯვებაში. ამიტომ უწევს ასეთი განცხადებების კეთება.

– თქვენ ფიქრობთ, რომ ეჭქვეშ არის მარგველაშვილის გამარჯვება?

– მათ იციან, რომ მეორე ტური არის გარდაუვალი და უნდათ, რომ პირველივე ტურში გაამარჯვებინონ მარგველაშვილს. ეს ძალიან მარტივია სინამდვილეში და ამის გამო აშინებენ ამომრჩეველს, რომ თუ ეს ასე არ იქნება, მობრუნდება ბაქრაძესთან ერთად სააკაშვილი. აქ კიდევ ერთი საინტერესო შეკითხვა ჩნდება, როგორ უნდა მობრუნდეს სააკაშვილი, როცა პარლამენტში უმრავლესობა აქვს ოცნებას. ეს არის ის, რაზეც ჩვენ ადრეც ვლაპარაკობდით, რომ ქართულ ოცნებაში შიგნით მიდის პროცესები, კოჰაბიტაციის გამტკიცების ნაციონალებთან. როგორც ჩანს, ასეა, აბა, რანაირად შეიძლება პრემიერად სააკაშვილი, ეს არც უნდა დავუშვათ, ეს არის აბსურდული, ამის შანსი ხომ არ არსებობს. მოდით, დავუშვათ ეს აბსურდი, რომ ბაქრაძე გახდეს პრეზიდენტი, როგორ უნდა გახდეს სააკაშვილი პრემიერი? ე.ი. ქართულმა ოცნებამ უნდა დაამტკიცოს ის.

– შედარებით განსხვავებული სოციოლოგიური კვლევები დაიდო გუშინ, რატომღაც ბაქრაძე ვეღარ აღმოჩნდა მეორე ადგილზე, ამჟამად ბურჯანაძემ დაიკავა ეს ადგილი...

– არასოდეს უნდა იცრუო, რადგან შემდეგ ხდები საკუთარი სიცრუის მძევალი. იმდენი იძახეს, რომ ბაქრაძე მყარად არის მეორე ადგილზე და ბურჯანაძე – მესამეზეო, უკვე ავტომატურად ამ საფრთხეზე ალაპარაკდნენ თვითონაც. თუ მეორე ადგილი აქვს ბაქრაძეს, რაც ტყუილია და თუ მარგველაშვილი მეორე ტურში კენჭს არ იყრის და ბაქრაძე გახდება პრეზიდენტი, მაშინ რატომ არ უნდა დავუშვათ, რომ სააკაშვილიც მობრუნდება ნელ-ნელა. აი, ეს არის კოაბიტაციის შედეგი. ენაჩაგდებული ნაციონალები რამდენიმე თვეში ისე გაყოყოჩდნენ, რომ ყველას ჭკუას არიგებენ. სწორედ ბიძინა ივანიშვილის და ქართული ოცნების ხელშეწყობით. იმდენი იძახეს, სახე არ დავაკარგვინოთ ნაციონალებსო, ზოგმა ისიც იძახა – ქართული დემოკრატიის ამოცანაა, გადავარჩინოთ ნაციონალებიო და აი, ეს არის მაგათი გადარჩენა.

– ერთი კვირა რჩება საპრეზიდენტო არჩევნებამდე, რას ველოდებით? როგორია თქვენი პროგნოზები?

– პროგნოზები ძალიან ცუდია, სხვათა შორის, თუ არ ვცდები, ჯაბა ხუბუამ უთხრა, რომ თქვენი ასეთი განცხადებები, რომ 60%-ით უნდა მოიგოს მარგველაშვილმა, ამას ადგილებზე გაიგებენ, როგორც პირდაპირ მითითებას. სწორედაც რომ ასე გაიგებენ, ასე დარწმუნებით რომ იძახის ივანიშვილი, 60%-ითო, ცოტა უცნაურად დათვალა ეს 60%. თავისივე ციფრებით არ გამოდის. რას ნიშნავს ეს, რომ ადგილებზე კომისიებში, გამგეობებში, ადგილობრივ სტრუქტურებში, ამას მიიღებენ, როგორც მითითებას. ხალხი მიჩვეულია წლების განმავლობაში მითითებას.

– თქვენ ფიქრობთ, რომ მართლა დაიდება ეს 60%?

– ვერანაირად ვერ დადებენ. არც ერთი კვლევა, თვით მათივე ჩატარებული, რომელშიც ადგნენ და უსირცხვილოდ დაუწერეს 53%. არც ერთი კვლევით არ გამოდის 60%. მეტსაც გეტყვით, მათი კვლევის გარდა, არც ერთ სხვა კვლევაში 50%-მდეც კი ვერ ადის მარგველაშვილი. მოკლედ, მეორე ტური გარდაუვალია. ესენი კი იბრძვიან, რომ გინდა თუ არა, პირველივე ტურში გაიმარჯვონ. ეს 53% რაღაცა საკრალური ციფრი გახდა. თუ გახსოვთ, აშკარა გაყალბებებით 2008 წელს, 53% დაიწერა სააკაშვილმა. სინამდვილეში კი 40%-ზე ნაკლები ჰქონდა. გუშინ დაისვა კიდევ ერთი საინტერესო შეკითხვა, რომ თუკი თქვენთვითონაც ამბობთ, რომ 2008-ში საპრეზიდენტო არჩევნები გაყალბდაო, მაშინ ნატოს შესახებ პლებისციტი როგორ არ გაყალბდა? ის კი გაყალბდაო, მაგრამ ვის რა ინტერესი ჰქონდა, ეს რომ გაეყალბებინაო. პირველადი მონაცემებით იყო 66% და სანამ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს ითვლიდნენ, გაიზარდა 77%-მდე. ჩვენ ხომ კარგად ვიცით, ეს რისთვისაც სჭირდებოდათ, იმისთვის, რომ ეთქვათ – ქართველი ხალხის ნებაა, რომ ნატოში გავწევრიანდეთო. ისიც გაყალბდა და ისიც.

– როგორ ხედავთ სიტუაციას იმ შემთხვევაში, თუკი საჭირო გახდა მეორე ტური და არჩევნებს გამოეთიშა მარგველაშვილი? ანუ მეორე ტური მარგველაშვილის გარეშე...

– ეს უბრალოდ წარმოუდგენელი რაღაცაა. ჯერ ერთი, ეს რა პოლიტიკური ქცევაა, რომ მე მეწყინა და გაგებუტეთ. ხალხს არასოდეს არ უნდა ეჩხუბო. შენ ისე არ მოიქეცი, როგორც მე მინდოდა და მე ახლა გავიბუტები. ეს პოლიტიკური საქციელი არ არის. რა პასუხს აძლევს იმ ამომრჩეველს, რომელმაც მისცა ხმა? ეს უკიდურესად არასერიოზული ქცევაა.

– ესენი თავისას ცდილობენ, თვითდაჯერებულები არიან და აპირებენ, რომ პირველივე ტურში დამთავრდეს ყველაფერი...

– მე არ ვიცი, რამდენად თვითდაჯერებულები არიან. იმ შეხვედრამ გვაჩვენა, რომ არც ისე არიან თვითდაჯერებულები. ყოველ შემთხვევაში, მეორე ტური არავითარი კატასტროფა არ არის. ძალიან ნორმალურია არჩევნების დროს მეორე ტური. თუ ბიძინა ივანიშვილს უნდოდა, რომ უეჭველად პირველ ტურში გამარჯვებული ყოფილიყო მისი კანდიდატი, მაშინ მარგველაშვილი არ უნდა შეერჩია.

– ვადამდელ არჩევნებს რაც შეეხება, ქალბატონო ნანა, გაზაფხულზე ადგილობრივი არჩევნებია დანიშნული, საზოგადოების მოთხოვნაა, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ამ დროს გაიმართოს, რასაც ეწინააღმდეგება ქართული ოცნება...

– დიახ, არის ასეთი მოთხოვნა და ერთადერთი კანდიდატი, ვინც ამას პირდაპირ ამბობს, ეს არის ბურჯანაძე. მარგველაშვილს თან პირველ ტურში უნდა, რომ გაიმარჯვოს და თან არც იმას ამბობს, რაც ხალხს უნდა და ასე არ ხდება. შენ როცა გინდა, რომ ხალხმა მხარი დაგიჭიროს, სწორედ ის მოთხოვნები უნდა გაახმოვანო, რაც უნდა ხალხს. რის მოთხოვნილებაც არის საზოგადოებაში. მე არ ვამბობ რაღაცა აბსურდულ მოთხოვნილებებზე, მაგრამ რა არის გასაკვირი იმაში, რომ ხალხს უნდოდეს ვადამდელი არჩევნები. რახან მიდის კოალიციის ლიდერი, რომლის ხათრითაც აირჩიეს ეს ხალხი პარლამენტში, რა გასაკვირია, რომ ხალხს აღარ უნდოდეს მის გარეშე ეს პარტიები და ეს პოლიტიკოსები?! ესენი კი თავს იკლავენ, იავანიშვილის გარეშე მათ ვინღა აირჩევს. ეს რომ იციან, ამიტომაც ეწინააღმდეგებიან ასე კატეგორიულად ვადამდელ არჩევნებს. მით უმეტეს, ისინი, ვინც დანამდვილებით იციან, რომ ვერ მოხვდებიან მომავალ პარლამენტში, არ უნდოდეთ ვადამდელი არჩევნები ამაში გასაკვირი არაფერი არ არის.

– კეზერაშვილის დაკავების შესახებაც მინდა, რომ გკითხოთ. საუბარია, რომ ეს არის ხელისუფლების წინასაარჩევნო კამპანია და კიდევ უფრო მეტ გახმაურებულ დაპატიმრებებს უნდა ველოდოთო. თქვენ თუ ეთანხმებით ამ მოსაზრებას?

– ჯერ ერთი, დავიწყოთ იქიდან, რომ კეზერაშვილი რაზეა დაკავებული, გაურკვეველია. რაღაც ინფორმაციები გაჩნდა, რომ ისრაელში ჯარში არ უმსახურიაო და იმიტომ არის დაკავებულიო. მე არ ვიცი, ეს რამდენად სიმართლეა, მაგრამ უკვე ანეკდოტის სახე რომ აქვს, ხომ აკვირდებით. თავდაცვის მინისტრი იყო კაცი საქართველოში, ისრაელის მოქალაქეობა აქვს და იქ ჯარში არ უმსახურია. უკვე ანეკდოტის ელფერს იძენს ეს ყველაფერი. მეორე ამბავიც არის, ეს ელემენტარული რაღაცაა, კაცს რომ დააკავებენ, ეს საკმაოდ გრძელი პროცედურაა ექსტრადირების და ეს ჩვენ ვნახეთ ოქრუაშვილის მაგალითზე, ხომ? არჩევნებამდე კეზერაშვილს აქეთ ექსტრადირებას არავინ არ გაუკეთებს. საერთოდაც თუ გაუკეთებენ, ძალიან საეჭვოა. იმიტომ, რომ ისრაელის მოქალაქეა და ისრაელი თავის მოქალაქეებს არავის არ აძლევს. რა დაჭერები, კაცო, სულ ორი კაცია დაჭერილი და თავი გადაგვჭამეს. თურმე ვილნიუსის სამიტზე საშინელება მოხდება, თუ არ გამოუშვებენ გარეთ მერაბიშვილს. დამჭერები რომ იყვნენ, ერთი წელი გავიდა და აქამდე დაიჭერდნენ, ვინც დასაჭერი იყო. არავის დამჭერი ეგენი არ არიან. ეგ ის ხალხია, საკუთარ ხალხს რომ ემუქრება, რომ ისე თუ არ მომცემ ხმას როგორც მე გამეხარდება, მეწყინება და ენთუზიაზმს დავკარგავო.

– ბოლო კვლევებს რაც შეეხება, რომლის მიხედვითაც ბურჯანაძეს 28% აქვს და მარგველაშვილს – 36%, რამდენად ობიექტურად გეჩვენებათ?

– ვერც ერთ კვლევაზე მე თავს ვერ დავდებ, რა თქმა უნდა, მაგრამ ყველაზე სარწმუნოდ გამოიყურება ის კვლევები, სადაც მარგველაშვილს და ბურჯანაძეს ძალიან ახლოსა აქვთ მაჩვენებლები. ყველა ეს კვლევა უფრო სარწმუნოდ გამოიყურება, იმიტომ, რომ რამდენიც არ უნდა ეცადონ, რომ ბაქრაძეს გაუბერონ ეს პროცენტები, აქედან არაფერი არ გამოვა. ბაქრაძე არის მესამე ადგილზე და საკმაოდ ჩამორჩება პირველ ორ კანდიდატს.

– სხვათა შორის, როდესაც მარგველაშვილი რეიტინგებზე საუბრობდა, მეორე ადგილზე მანაც ბაქრაძე დაასახელა...

– კი, მაგრამ პირველ ადგილზე ვინც არის, იმას რამდენი პროცენტი აქვსო, გაიხსენეთ, რა თქვა? თვითონვე თქვა, დაახლოებით 30%-ზე მეტი აქვსო და 60%-ს როგორ ითხოვს, ვერ გავიგე.

– გამოდის, რომ დანარჩენი უნდა გაყალბდეს?

– უბრალოდ, ივანიშვილმა მიათვალა ის ხმებიც, ვინც პასუხს არ იძლევა კვლევებისას. ბევრს ჯერ გადაწყვეტილი არ აქვს და შეიძლება არჩევანი გააკეთონ საარჩევნო ყუთთან და მან კი ეს ყველაფერი ავტომატურად მიათვალა მარგველაშვილს და ეს ასე ნამდვილად არ არის. ჯერ ერთი არის ისეთი ამომრჩეველიც, რომელსაც საერთოდ არც ერთი კანდიდატი არ მოსწონს, ეს ხომ არ უნდა დაგავიწყდეს, არა? ახლა ეს სულ არ ნიშნავს, რომ შენ რომ იძახი, მაინცდამაინც 60% მინდაო, გავარდება და შენს ნომერს შემოხაზავს.

– ე.ი. საკმაოდ საინტერესო პროცესებს ვარაუდობთ საარჩევნოდ?

– კი, საკმაოდ. თუ მართლა უნდა, რომ ისეთი პრეცედენტი შექმნას და ძალიან სამართლიანი და გამჭვირვალე არჩევნები ჩაატაროს, ასეთი განცხადებები არ უნდა გააკეთოს. დაე ხალხმა გადაწყვიტოს. მით უმეტეს, მე არ მესმის ეს ისტერიული ნოტები, ვერ ვიგებ ამას. თვითონ იძახიან, რომ პრეზიდენტს უფლებები არა აქვსო და თუ არა აქვს, ახლა ამის გამო ასეთი ისტერიკი მოწყობა არის სრულიად გაუგებარი და გაურკვეველი. აქვე ერთსაც ვიტყვი, თუკი ივანიშვილს გადაწყვეტილი აქვს და მიდის, არ წავიდეს გამყალბებლის სახელით, აი, ეს არის მთავარი. დანარჩენი, ახლა დაპირებები რომ არ შეასრულა, ეს ხალხმა შეიძლება რამენაირად აიტანოს, მაგრამ გაყალბებულ არჩევნებს არ აპატიებენ.

– შეუსრულებელი დაპირებები ახსენეთ და თავად თვლის პრემიერი, რომ სამართლიანობა აღდგენილია ქვეყანაში...

– მისთვის შეიძლება პირადად, სამართლიანობის აღდგენა არის ის, რომ სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა აღარ მართავენ ქვეყანას. მაგრამ ის, რაც ხდებოდა მთელი 9 წლის განმავლობაში, რაც დაუშავეს, არაფერი რომ არ გამოსწორებულა, მანაც კარგად იცის და ამიტომ იძახის, ჩვენ ახლა ბოლომდე რომ ამას ვდიოთ და გუშინ და გუშინწინ რაც იყო, იმის გამოსწორება დავიწყოთო, ეს ძალიან ბევრ დროს წაიღებსო და ჯობია წინ ვიაროთო. წინ როგორ უნდა ვიაროთ, როცა ეს უსამართლობა რჩება და ყველაზე საშინელი განცდაა იმ ადამიანებში, ვინც დაზარალდნენ იმ რეჟიმის დროს და ეუბნებიან, არა უშავს, წინ იარეო. ყველაფერი წაართვეს ხალხს, ზოგს ოჯახის წევრები გაუნადგურეს და ნუღარ მიიხედავ უკანო, ნუღარ გაიხსენებო. იცით რა არის, როცა დამნაშავეს არ უნდა წარსულის გახსენება, ეს ლოგიკურია. მას უნდა, რომ დაივიწყოს, რაც დააშავა, მაგრამ როცა სხვას დააზარალებს, იმან როგორ უნდა დაივიწყოს, რაც დამართეს. მე აქ ანგარიშსწორებაზე კი არ ვლაპარაკობ. ელემენტარულად დანაშაულს დანაშაული ხომ უნდა დაარქვან?! ზოგიერთი წართმეული ქონება და არცთუ ცოტა, დღესაც არის ეკონომიკის სამინისტროს სამინისტროს ბალანსზე. მოდავე იმ ადამიანებს, არავინ არ ჰყავთ. ეს მაინც ხომ შეიძლება, რაც შენს ბალანსზეა, სახელმწიფოს ბალანსზე, ის მაინც დაუბრუნე პატრონებს. ამასაც არ აკეთებენ.

– რთული პროცესი აღმოჩნდა წართმეულის უკან დაბრუნებაო, ასეთი რამ განაცხადა პრემიერმა...

– საერთოდ, ხელისუფლებაში ყოფნა რომ რთულია, არ იცოდნენ?! რთულია, ძალიან რთულია! მაგრამ ეს არის ელემენტარული, რასაც იტყვი, რომ გავაკეთებ, შეიძლება ყველაფერი არ გამოგივიდეს, მაგრამ ხალხმა უნდა დაინახოს, რომ შენ ცდილობ ამის გაკეთებას. ყველაფერი არავის არ გამოსვლია, მაგრამ რაღაც ხომ მაინც უნდა ეცადო, რომ გააკეთო.

– განვლილ ერთ წელს როგორ აფასებთ?

– მთლიანობაში მაინც პოზიტიურად ვაფასებ, იმიტომ, რომ მთავარი, ტერორის და შიშის გარემო აღარ არის და ეს არის ყველაზე დიდი. ამას ალბათ არაფერი არ შეედრება, მაგრამ ამის გარდა ძალიან ბევრია შეუსრულებელი დაპირება და ეს რომ არ დაინახო, მაშინ ან მთავრობის წევრი უნდა იყო და ან საპარლამენტო უმრავლესობის. მე კი ძალიან კარგად ვხედავ, რომ ძალიან ბევრი დაპირება არ შესრულდა. თუმცა აქვე ხაზგასმით ვამბობ, ნაციონალურ მოძრაობას არანაირი მორალური უფლება არ გააჩნია, ამაზე ილაპარაკოს. ეს მე და შენ შეიძლება ვთქვათ, ჩვენ მოქალაქეები ვართ ამ ქვეყნის. მაგრამ ძალა, რომელიც 9 წელიწადი მართავდა ქვეყანას და დღესაც 40%-ით არის პარლამენტში წარმოდგენილი, მას ამაზე ლაპარაკის მორალური უფლება არ გააჩნია. დაპირებების შეუსრულებლობაზე შეგვიძლია ჩვენ ვილაპარაკოთ.

2013, 21 ოქტომბერი, №249

კახა კუკავას თანაპარტიელებს მეოცნებეებზე მაღალი რეიტინგი აქვთ

როლანდ ხოჯანაშვილი

გასულ კვირაში პრემიერის განცხადებებმა ერთგვარად უფრო აქტუალური გახადა შედარებით მივიწყებული პოლიტიკური სახეები: შალვა ნათელაშვილი, გიორგი თარგამაძე და კახა კუკავა. შალვა ნათელაშვილმა შედარებით ნაკლებად ამბიციური განაცხადი გააკეთა: პრემიერი დებატებში გამოიწვია, რაც წარმოუდგენელია ორი ფაქტორის გამო, რადგან, სავარაუდოდ პრემიერს ,,თავი არ ეღირსება" მის მიერ მასხარად წოდებულ პოლიტიკოსთან სადებატოდ და თუ ეს მოხერხდება–მაშინ ნათელაშვილის ლექსიკა მას აუცილებლად ,,მიჯირყვნის". რაც შეეხება გიორგი თარგამაძეს, მისი ღირსების შელახვა მილიარდად შეიძლება დაუჯდეს პრემიერს (ამაზე მართლა არ შეიძლება ოცნება, რადგან სხვაგან სად ლანძღავენ და აგინებენ ისე მყრალად პოლიტიკოსებს, როგორც საქართველოში, თუმცა ამისთვის სასამართლო ხელისუფლებას მილიარდი არავისთვის გადაუხდევინებია). რაც შეეხება კახა კუკავას, როგორც ,,არასერიოზულ კაცს", ყველაზე სერიოზულად მიუდგა საკითხს და პირველი ორი პოლიტიკოსისგან განსხვავებით საფუძვლიანად შეუტია ივანიშვილს.

გვინდა თუ არა, საქართველოში კარგად მუშაობს პროლეტარული მენტალიტეტი და სიტყვა მდიდარი უფრო აღიზიანებს ბევრ ადამიანს, ვიდრე–ღარიბი. ,,ბიძინა ივანიშვილს დაავიწყდა, რომ ქარვასლაში არ არის, პოლიტიკურ პროცესშია",–თქვა კუკავამ და მალევე მოუძებნა ივანიშვილს ქართული ხელოვნებიდან პროტოტიპი: ,,ძალიან სამწუხაროა, რომ ივანიშვილი თავისი განცხადებებით ძალიან ჰგავს პერსონაჟს ქართული მხატვრული ფილმიდან ,,ქეთო და კოტე"–სულ ფული და ფული.

პრემიერის განცხადებით შეურაცხყოფილმა კუკავამ საზოგადოებას შეახსენა, რომ ქართველი მილიარდერი ,,ნაციონალური მოძრაობის", გენერალ ლებედისა და შევარდნაძის გვერდით იდგა და მათზე უარესთან თავად არასდროს მდგარა, თან არავისგან აუღია ფული, მით უფრო–კუკავამ საზოგადოებას შეახსენა, რომ მან თავისი პოლიტიკური გუნდით საპარლამენტო არჩევნების წინ გადადგა ისეთი ნაბიჯი, რომელიც ,,ქართულ ოცნებას" თუნდაც უმნიშვნელოდ წაადგა – მისმა პარტიამ ბევრგან მოხსნა კანდიდატურა ,,ოცნებელების" სასარგებლოდ. ,,გამყიდველი" და ,,არასერიოზული" კუკავა მედიასაშუალებების ყურადღების ქვეშ მოექცა და იქით დაიწყო დავა ივანიშვილის საწინააღმდეგოდ. კუკავას ბევრი სხვა ქართველი პოლიტიკოსისაგან განსხვავებით მწირი ბიოგრაფია აქვს, თუმცა ითვლება ერთ-ერთ თანმიმდევრულ და გაწონასწორებულ პოლიტიკოსად. ის თბილისში 1976 წელს დაიბადა, არის სამართალმცოდნე, აქვს იუსტიციის საბჭოში მუშაობის გამოცდილება, 2004-2008 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, ხოლო 2010 წლიდან თბილისის საკრებულოს წევრია.

პირველი და მნიშვნელოვანი ბრალდება მან ,,ქოცების" წინააღმდეგ ასეთი შინაარსით გააჟღერა: ,,ქართულ პრესას გადავცემ ინფორმაციას, თუ როგორ ცდილობდნენ დღევანდელი მთავრობის მინისტრები და მრჩევლები მათი პარტიის მაჟორიტარების ფულით მოსყიდვას, რათა ,,ქართულ ოცნებაში" გადასულიყვნენ. ამ კორუფციულ სქემაში ჩართული იყო ივანიშვილიც, რადგან ივანიშვილი ამ საკითხზე ალაპარაკდა, კონკრეტული პიროვნებების გვარებსა და სახელებს ვიდეომტკიცებულებების მითითებით წარმოვადგენ".

საქართველოში, როგორც წესი, უკვე ჩამოყალიბდა ვიდეოკომპრომატების ფრიალი, რომელიც არა მარტო ,,ნაცებს" და ,,ქოცებს", არამედ სხვა ბევრ პოლიტიკურ ფიგურას სხვა პარტიებიდანაც პარალელურ რეჟიმში გულის ფრიალსა და უსიამოვნო შეგრძნებებს გაუღვიძებს. ძალიან ბევრი ფაილი, რომელიც ამ ეტაპზე განადგურებული ჰგონიათ, ნანახი აქვს არა მარტო საგამოძიებო ჯგუფს, არამედ ჟურნალისტებსა და სხვა ბევრსაც კოპირებული სახით.

კუკავა ძირითადად კოზირებს იჭერს საარჩევნო მიმართულებით, მან განაცხადა, რომ ივანიშვილს არასოდეს შეუთავაზებია მისთვის მაჟორიტარობა და ასდუკ-ად წოდებული კაციტაძის კომისია, რომელიც არაერთმა ,,ქართული ოცნების" წევრმა დაიწუნა ამომრჩეველთა რაოდენობის სიმრავლის გამო (გავიხსენოთ ქუცნაშვილის და მამუკა კაციტაძის დაპირისპირება ამ თემაზე), თურმე ამჟამინდელ საარჩევნო სიებს ბევრად უფრო ნაკლები ამომრჩევლით წარუდგენდა საზოგადოებას, ვიდრე ამჟამად გახლავთ. სხვაობა 20 ათასი ამომრჩეველია და ეს ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, მცირე ნამდვილად არ არის.

როგორც სხვა ოპოზიციური ძალები (კუკავას პოლიტიკური ძალა ამაზე არ აკეთებს აპელირებას) აცხადებენ, ,,ქართული ოცნება" მასობრივი გაყალბებისთვის ემზადება და იყენებს ადმინისტრაციულ რესურსებს, სცემს ოპოზიციურად განწყობილ ელექტორატს და საარჩევნო უბნებიც მზაობაშია, რომ ხმები გააყალბონ. მიუხედავად ამ განცხადებებისა, პირადი დაკვირვების ქვეშ მოქცეულ ოლქებსა და უბნებს უფრო ძველი და ახალი, ხილული და ფარული ,,ნაციონალური მოძრაობის" წევრები თუ მხარდამჭერები მოგვევლინენ კომისიის წევრებად (ამ საკითხზე არაერთხელ დაუჩივლიათ ,,ოცნებელებს", რომ ,,ნაციონალებით" არის სავსე საუბნო კომისიები, რაშიც საოლქო კომისიებს უდევთ ლომის წილი. საოლქო კომისიები ძველი შემადგენლობით ისევ თავიანთ ,,კაცებს" ნიშნავენ უბნებზე და მათი რაოდენობა 6-7 წევრია ყველგან). ამ საკითხების გარდა ,,ოცნების" ოპონენტები ხმამაღლა ადანაშაულებენ ივანიშვილს არათანმიმდევრული პოლიტიკის განხორციელებაში, ექსპერტებისა და ჟურნალისტების ,,მიჯირყვნაში", პრორუსობის შესახებ ნაკლები რიტორიკა ისმის, თუმცა ამას ჩაანაცვლეს მცოცავი ოკუპაციის საწინააღმდეგოდ არაფერს აკეთებს ,,ქოცებიო". ირაკლი კაკაბაძის განცხადებით, ყველაზე მეტად წინასაარჩევნო პერიოდში ,,ნაციონალურ მოძრაობას" აწყობს რუსულ-ქართული კონფლიქტის გამწვავება (საომარ სიტუაციაში, წესისამებრ, არჩევნები არ ტარდება).

კუკავამ საზოგადოებას შეახსენა ნაძალადევის შუალედურ არჩევნებში გამარჯვებული თამარ კორძაია, რომელიც ისევე, როგორც ,,ქართული ოცნების" დეპუტატთა უმეტესობა ივანიშვილის რეიტინგმა გახადა პარლამენტის წევრი: ,,ქართულმა ოცნებამ" განმეორებით საპარლამენტო არჩევნებზე ნაძალადევში დეპუტატობის ისეთი კანდიდატი წარადგინა, რომლის არსებობა მოსახლეობამ არ იცის და აღარც ახსოვთ, თამარ კორძაია თუ არის პარლამენტში".

ძალიან ბევრს უკვირს, რატომ მიდის თანამდებობიდან ,,ქართული ოცნების პელე". ივანიშვილის თანამდებობაზე დარჩენასაც და წასვლასაც აქვს რისკები ქართული პოლიტიკისა და ეკონომიკისათვის, თუმცა ივანიშვილის წასვლას ერთი ყველაზე დიდი დადებითი მხარე ის აქვს, რომ მის გაფეტიშებას არ ექმნება საფუძველი.

ბუნებრივია, უნდა დავსვათ კითხვა, თუ ამჟამინდელი პრემიერი აქტიური პოლიტიკიდან მიდის და საზოგადოებრივ სექტორში გადასვლით გაუწევს კონტროლსა და მონიტორინგს ხელისუფლებას, რატომ უნდა დაპირისპირებოდა იმ პოლიტიკურ ფიგურას, რომელიც ,,ოცნების" საწინააღმდეგოდ არაფერს სჩადის?! პრემიერის ნათქვამს, რომ: ,,კუკავა არასერიოზული კაცია, სადაც ფულს უხდიან, იქ მიდის."

,,თავისუფალმა საქართველომ" ივანიშვილის ზემოთ ნათქვამს ასეთი პასუხი გასცა: ,,პრემიერ-მინისტრმა გააკრიტიკა კახა კუკავა იმის გამო, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ვერ მოახერხა ,,თავისუფალი საქართველოს" ლიდერის დათანხმება, გამხდარიყო კოალიცია ,,ქართული ოცნების" მაჟორიტარი." რომ დასთანხმებოდა კუკავა ,,ოცნების" მანტიით შემოსვას, მაშინ მას აღბათ უარი უნდა ეთქვა თავისი პარტიის კონსტრუირებაზე, არადა, თვალნათლივია, რომ კუკავას პარტიაში ბევრად უფრო რეიტინგული სახეებია არაერთი, ვიდრე ,,ქოცი". რეგიონებში მნიშვნელოვან სახეებზე დადო ფსონი კუკავამ, რომლებსაც პოლიტიკური წონის გარდა გამოცდილებაც აქვთ (თბილისში – შალამბერიძე, ქუთაისში – წულაია, ჭიათურაში – ცარციძე, ხაშურში – მუმლაძე-ავალიანი, დედოფლისწყაროში – გურაშვილი და სხვა სახეები). თუკი კუკავასთვის იქნებოდა პარტიული ქვოტით პარლამენტში შესვლის შეთავაზება, მაშინ ის დაეთანხმებოდა კიდეც ივანიშვილის შეთავაზებას. მართლა გაოცდნენ ამომრჩევლები, როცა ერთ დროს კუკავას პოლიტიკური ,,ტყუპისცალები" – დავითაშვილი და ძიძიგური გახდნენ პრემიერის სიმპატია და არანაკლები რეიტინგის მქონე კუკავა შეირისხა.

ШСს-სა და დროებითი სამთავრობო კომისიის წევრებმა შიდა ქართლის სოფლებში შეხვედრები დაასრულეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით შსს-ს წარმომადგენლები დროებითი სამთავრობო კომისიის წევრებთან ერთად ქარელისა და ხაშურის რაიონების ოკუპაციის ხაზის მიმდებარე სოფლებში იმყოფებოდნენ და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდნენ.

შსს-ს ცნობით, შეხვედრაზე სხვადასხვა სამინისტროს წარმომადგენლები ადგილზე გაეცნენ არსებულ ვითარებას, რეგიონში მიმდინარე და სამომავლოდ განსახორციელებელინ როექტების შესახებ მოსახლეობას ინფორმაცია მიაწოდეს.

გუშინდელი ვიზიტის ფარგლებში, შიდა ქართლის რეგიონის ოკუპაციის ხაზის მიმდებარე სოფლების მონახულება დასრულდა და მომავალი კვირიდან სამთვრობო კომისიის წევრები დასავლეთ საქართველოს რეგიონის ოკუპაციის ხაზის მიმდებარე სოფლებს მოინახულებენ.

მედიანიუსი

გიორგი მარგველაშვილი ოპონენტებს ურჩევს, ამნეზია ნუ დაემართებათ

,,ქართული ოცნების" პრეზიდენტობის კანდიდატი „ნაციონალურ მოძრაობას" ერთი წლის წინანდელი ქმედებების გახსენებისკენ მოუწოდებს და აცხადებს, რომ როდესაც დავით ბაქრაძის პლაკატების ჩამოხევაზე საუბრობენ, გაიხსენონ, რა ხდებოდა საპარლამენტო არჩევნების დროს.

ამასთან, მარგველაშვილი აცხადებს, რომ კონკურენტების პლაკატების ჩამოხევა მიუღებელია.

„თუ ასეთ ფაქტს ჰქონდა ადგილი, ეს მიუღებელი და სამარცხვინოა და ეწინააღმდეგება იმ დიდ მიზანს, რომელიც „ქართულ ოცნებას" აქვს, რომ საპრეზიდენტო არჩევნები შეფასებული იყოს ევროპული სტანდარტით. ამასთანავე, როდესაც ეს ხალხი მე მელაპარაკება, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა უნდა ჩაერიოს იმაში, რომ სადღაც პლაკატი ჩამოუხევიათ, მე შემიძლია, საერთაშორისო თანამეგობრობის გარეშეც ვთქვა, რომ ვგმობ ნებისმიერი პლაკატის ჩამოხევას, ეს ჩვენთვის მიუღებელია, მაგრამ მთლად ამნეზიაც ნუ დაგემართებაც, ცოტა გაიხსენეთ, რას აკეთებდით ერთი წლის წინ", – განაცხადა მარგველაშვილმა.

მარნეულში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პრეზიდენტობის კანდიდატის დავით ბაქრაძის პლაკატების ჩამოხევის შესახებ ინფორმაცია დღეს საპარლამენტო უმცირესობის წევრმა თინა ბოკუჩავამ გაავრცელა. აღნიშნულ ფაქტს ბოკუჩავა პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის მარნეულში ვიზიტს უკავშირებს.

პირველი

ჯიმშერ ოთანაძე ჯარისკაცების ინტოქსიკაციის ფაქტების მიუკერძოებელ გამოძიებას აუცილებლობად მიიჩნევს

როგორც კოალიცია „ჩვენი უფლებებისათვის" თანათავმჯდომარე, სამხედრო ექსპერტი აცხადებს, უნდა დადგინდეს, ეს შემთხვევითობაა თუ მიზანმიმართული დანაშაული.

„ბოლო პერიოდში ჯარისკაცთა მასობრივი მოწამვლის ფაქტები, რასაც თან მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის მოშლა ახლდა, უკვე სისტემატური ხასიათისა იყო, ხოლო მდგომარეობა მართლაც საგანგაშო და შემაშფოთებელი.

სამხედრო მოსამსახურეების კვებითი ინტოქსიკაციის ფაქტების აღმოსაფხვრელად, საჭირო იყო როგორც პრევენციული ზომების გატარება, ასევე ეფექტური საგამოძიებო მოქმედებების დაწყება, ამიტომ მისასალმებელია ის გარემოება, რომ ზემო აღნიშნულ ფაქტებზე სისხლის სამართლის საქმეები სამხედრო პოლიციის წარმოებიდან, ყოველმხრივი და მიუკერძოებელი გამოძიების განსახორციელებლად, მთავარ პროკურატურას გადაეცა.

უნდა დადგინდეს, რასთან გვაქვს საქმე – არის ეს შემთხვევითობა თუ მიზანმიმართული დანაშაული", – აღნიშნავს ჯიმშერ ოთანაძე.

პირველი

„ნაციონალური მოძრაობა" მარნეულში დავით ბაქრაძის პლაკატების დაზიანებას პრემიერის ვიზიტს უკავშირებს

პარტიის წევრის თინა ბოკუჩავას ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრმა ჟურნალისტებთან ბოლო შეხვედრისას აღნიშნა, რომ ის ბაქრაძის ძალიან ბევრ პლაკატს ხედავს.

მისივე თქმით, ზედამხედველობის სამსახურმა ბიძინა ივანიშვილის მარნეულში ჩასვლამდე „ნაციონალური მოძრაობის" პრეზიდენტობის კანდიდატის სააგიტაციო მასალა გაანადგურა.

„ეს ცხადჰყოფს, რომ ბიუროკრატია, ეს იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები თუ სხვა, პრემიერის განცხადებებს იღებს, როგორც მითითებებს", – განაცხადა ბოკუჩავამ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე.

პირველი

გურჯაანის რაიონში უბედურ შემთხვევას მამაკაცი შეეწირა

გურჯაანის რაიონის სოფელ შაშიანში მომხდარ უბედურ შემთხვევას 45 წლის მამაკაცი შეეწირა. იგი საკუთარი ავტომანქანის ქვეშ დაზიანებული ნაწილის შეკეთებას ცდილობდა, რა დროსაც მანქანა ზედ დაეცა. მამაკაცი თავისა და გულ-მკერდის არეში მიყენებული ტრავმებით ადგილზე დაიღუპა. იგი ყვარლის რაიონის სოფელ შილდის მკვიდრია. მას მეუღლე და სამი შვილი დარჩა.

მედიანიუსი

გიორგი თარგამაძე მცირე და საშუალო მეწარმეებს შეხვდა

საუბრის ძირითადი თემა საქართველოში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარება იყო. „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" პრეზიდენტობის კანდიდატის თქმით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარება აუცილებელია, რათა სოფლად ცხოვრებას ეკონომიკური საფუძველი გაუჩნდეს. მისივე განცხადებით, ეს საჭიროა იმისთვის, რომ ახალგაზრდა ოჯახები, ახალგაზრდობა ქართულ რეგიონებში დამაგრდეს და ქართული სოფლის მეურნეობა თავად გახდეს საქართველოს ბიუჯეტის დონორი, აგრარული კოოპერატივების მაგალითზე ქვეყანაში გაიზარდოს საზოგადოების თვითორგანიზებისა და ურთიერთსოლიდარობის ხარისხი, მცირემიწიანი გლეხები გახდნენ წახალისებული ფერმერები და ქართულ ოჯახებს რეგიონებში და სოფლებში ცხოვრების უკეთესი პირობები ჰქონდეთ.

„სამწუხაროა, რომ როგორც ძველი, ასევე ახალი მთავრობა, სრულიად უმოქმედოა მცირე და საშუალო მეწარმეების ხელშეწყობის და რეალური დახმარების მიმართულებით. პირადად ჩემი და „ქრისტიან-დემოკრატების" გამორჩეულ პრიორიტეტს წარმოადგენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების და აგრარული კოოპერატიული მეურნეობების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა, რომელიც მართლაც სახელმწიფო სტრატეგიის ხარისხში უნდა იყოს აყვანილი. პრეზიდენტის ერთ-ერთი მოვალეობა უნდა იყოს სწორედ ქართული პროდუქციის ექსპორტის წახალისება, ქართული პროდუქციისთვის ქართული ბაზრის დაბრუნება და საზღვრებს გარეთ ახალი ბაზრების მოძიება და მე პირობას ვდებ, რომ შესაბამისი სახელისუფლებო რესურსების ჩემ ხელთ აღმოჩენის შემთხვევაში, ამ მიმართულებით ყველაფერს გავაკეთებ", – განაცხადა გიორგი თარგამაძემ.

პირველი

თემურ შაშიაშვილი: „ბიძინა ივანიშვილმა უნდა გვითხრას, სინამდვილეში რატომ გადაემტერა ალასანიას“

რა დაამტკიცა გიორგი მარგველაშვილმა

საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი დარწმუნებულია, რომ პრეზიდენტის გამოსავლენად მეორე ტურის ჩატარება გახდება აუცილებელი. „ქართული ოცნების“ მამებს მეორე ტურის ძალიან ეშინიათ. ქვეყნის მთავარმა მეოცნებემ, ბიძინა ივანიშვილმა, ამას წინათ განაცხადა, რომ მეორე ტურის დანიშვნის შემთხვევაში ის გიორგი მარგველაშვილს არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმას ურჩევს. ბიძინა ივანიშვილის ეს განცხადება გაცივებული არ იყო, რომ მარგველაშვილმა დაიბარა, მეორე ტურში ჩემი ფეხი არ იქნებაო. მეოცნებეთა ამგვარი განცხადებები ერმა კარგად არ მიიღო.

რაზე მიუთითებს პრემიერის განცხადებები, რატომ გადაეკიდა ის ირაკლი ალასანიას, რატომ არ იქნება ქვეყნისთვის კარგი გიორგი მარგველაშვილის პრეზიდენტობა — ამ თემებზე პარტია „თეორების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

შორენა მარსაგიშვილი

თემურ შაშიაშვილი:

– ბიძინა ივანიშვილი ნიჭიერი და ქვეყნისთვის საჭირო კაცია. სამწუხაროდ, ის საკუთარ თავს კატასტროფული წარმატებით ებრძვის. წინა კვირაში მან განაცხადა, საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ტური არ იქნებაო, მეორე ტურის დანიშვნის შემთხვევაში კი კოალიციის კანდიდატს მოუწოდა, არჩევნებში მონაწილეობაზე უარი თქვას. საკუთარი თავის მტრის გარდა, ასეთ განცხადებას არავინ გააკეთებდა.

– თქვენი აზრით, რაში დასჭირდა ასეთი განცხადების გაკეთება?

– კატასტროფულმა შიშმა გააკეთებინა ეს განცხადება. მათ საშინლად ეშინიათ მეორე ტურის. ეშინიათ იმიტომ, რომ იციან ხალხის განწყობა. ხალხის განწყობიდან გამომდინარე კი მეორე ტური გარდაუვალია. რაც შეეხება უშუალოდ პრემიერის მიერ გაკეთებულ განცხადებას, ეს იყო კანონდარღვევა. პრემიერი სამუშაო საათებს გიორგი მარგველაშვილის აგიტაციისთვის იყენებს. სხვა შემთხვევაში ნაციონალები ამაზე ერთ ამბავს ატეხდნენ. ახლა კი ჩუმად არიან.

– რა არის მათი სიჩუმის მიზეზი?

– ივანიშვილმა წინა კვირაში გარკვევით განაცხადა, მეორე ადგილს დავით ბაქრაძე აიღებსო. ეს კი ნაციონალების ინტერესებში შედის. ეს ყველაფერი მათ რომ არ აწყობდეთ, პრემიერმა ისეთები თქვა, საკაშვილი თვითმფრინავიდან დაიწყებდა ყვირილს. მას ახლა ყვანიას საქმე უფრო აღელვებს და ამ თემაზე ლაპარაკობს. პრემიერს ის აღელვებს, რომ პირველივე ტურში ვერ იმარჯვებს მისი კანდიდატი. მარგველაშვილმა თუ ვერ მოიგო ეს არჩევნები, ეს საქართველოსთვის დიდი ბედნიერება იქნება. ეს პრემიერისთვის ბედნიერება იქნება. სამწუხაროდ, ეს ის ივანიშვილი აღარ არის, რომელიც 2 წლის წინ მოვიდა პოლიტიკაში და რომელსაც მართლა შეეძლო ქვეყნის გადარჩენა. რაც დრო გადის, მით მეტად ვრწმუნდებით, რომ ბიძინა ივანიშვილი დასცილდა მის მიერვე დეკლარირებულ მიზნებს. მისი ბოლო განცხადებები ამის დასტურია. ვერ გეტყვით, ეს მისი გარემოცვის გავლენაა თუ გაუმართლებელი თვითკმაყოფილების, უფრო მეტიც, სხვებისთვის შეურაცხმყოფელი თვითდაჯერებულობის. შთაბეჭდილება რჩება, რომ პრემიერს რეალობის შეგრძნება აქვს დაკარგული. არც შევადარებთ ერთმანეთს ბიძინა ივანიშვილსა და მიხეილ საკაშვილს. პრემიერის უპირატესობა იმდენად გამოკვეთილია, რომ ეს განხილვის საგანიც არ არის, მაგრამ სამწუხაროა, რომ თუ საკაშვილი ტყუილებში გვაცხოვრებდა და ეს იყო კატასტროფა, ივანიშვილი ილუზიებით გვკვებავს. ერთ-ერთი ასეთი ილუზია გახლავთ ის რეიტინგი, რომელიც, მისი თქმით, გიორგი მარგველაშვილს აქვს.

– თქვენ არ გჯერათ, რომ მარგველაშვილს ასეთი მაღალი რეიტინგი აქვს?

– ვინ დაიჯერებს, რომ მარგველაშვილის რეიტინგი 70%-ის ფარგლებშია – დაღუპულა ქვეყანა, თუ ქვეყნის დამანგრეველი იდეოლოგიის ინსტიტუტების: „სოროსის ფონდის“, „თავისუფლების ინსტიტუტისა“ და ენ-დი-აი-ს შექმნის სათავეებთან მდგომ და დღესაც მათ ერთ-ერთ მთავარ იდეოლოგს ასე უჭერს ხალხი მხარს. იმედია, მარგველაშვილის ასეთი მაღალი შეფასებით არ გამინაწყენდებიან მისი მეგობრები: ლევან რამიშვილი, თემურ იაკობაშვილი, გიგა ბოკერია, გია ნოდია, თეა თუთბერიძე, ნიკა რურუა, გოკა გაბაშვილი და სხვები. ნუთუ მართლა ვინმეს სჯერა, რომ მარგველაშვილი წარმატებული მინისტრი იყო, მით უმეტეს წარმატებული პრეზიდენტი იქნება. ვინ დაიჯერებს, რომ საქართველო დემოკრატიის გზით მიდის, რომ ევროპულ ფასეულობებს ნერგავს პრემიერი, როცა მთელი სახელისუფლებო ვერტიკალი – საკრებულოს რიგითი წევრით დაწყებული, გამგებლით, მერით, დეპუტატით, მინისტრით გაგრძელებული და პრეზიდენტით დამთავრებული – ერთი კაცის ხათრით უნდა შეირჩეს. ვინ დაიჯერებს, რომ სწორია რესპუბლიკელებისა და მათი ლიდერის ასეთი ქება – დიდება, როცა გამანადგურებელ ეპითეტებს გამოიყენებს პარლამენტს გარეთ მდგომი არაერთი ლიდერის მიმართ. მინდა ვცდებოდე, მაგრამ, ვფიქრობ, პრემიერი გადიდკაცდა, საკუთარ თავზე კარგავს კონტროლს. სამწუხაროა, რომ ეს ემართება ქვეყნისთვის აშკარად საჭირო კაცს, უდავოდ ნიჭიერს, რომლისთვისაც სწორედ მისივე პოლიტიკური გუნდი ხდება გადიდკაცების ხელშემწყობი, პოლიტიკური გუნდი, რომელიც მოაზროვნე ადამიანებისთვის უკვე პოლიტიკურ ჭაობს ემსგავსება და ითრევს ჯანსაღ ნაწილსაც, პრემიერის ჩათვლით. სხვა შეფასება ვერ მიეცემა იმპერატიულ მოთხოვნას ბატონი მარგველაშვილის გამარჯვებისა. ეს უკვე შანტაჟის გზაა, რაც შეურაცხმყოფელია საქართველოსათვის, საქართველოს მოსახლეობისათვის, ქართული აზროვნებისათვის. შექმნილი სიტუაცია კიდევ ერთხელ ადასტურებს „თეორების“ პოზიციას, რომ პრეზიდენტი არ უნდა იყოს არჩეული ბიძინა ივანიშვილის კოალიციიდან, მით უფრო, „ნაციონალების“ დამნაშავე პოლიტიკური ორგანიზაციიდან და უნდა დავიწყოთ დიდი სახალხო მოძრაობა საქართველოს გადასარჩენად „ოცნებისა“ და „ნაცების“ გარეთ – ეს ბიძინა ივანიშვილის მიერ დეკლარირებული მიზნების გადარჩენაც იქნება! საქართველოს პრეზიდენტი უცხოეთის მასონური წრეების წარმომადგენელთა მიერ დასმული კაცი აღარ უნდა გახდეს! ეს შეურაცხყოფა აღარ უნდა ავიტანოთ. მე არ ვიცი, ვინ აიძულებს ბატონ ბიძინას ამის გაკეთებას. რა ემართებათ, ამ სკამზე რომ დასხდებიან, ვერ ვხვდები. თავისი ბოლო განცხადებებით რამდენიმე მკვდარი პოლიტიკოსი გააცოცხლა. უკვე ყველამ ვიცით, ვის აქებს თავისი მინისტრებიდან და ვის ებრძვის. აშკარაა, რომ დღეს ამოჩემებული ჰყავს ირაკლი ალასანია.

– ეს მართლაც თვალშისაცემია. თქვენი აზრით, რატომ ამოიჩემა პრემიერმა ალასანია?

– არ ვიცი, რატომ ამოიჩემა. ვიცით, რომ კვლევების თანახმად, ის ყველაზე პოპულარული მინისტრია. გასულ წელს გავრცელდა ფარული გზით მოპოვებული აუდიომასალები, სადაც ივანიშვილის გუნდის წევრების საუბრებია ჩაწერილი. იქ ფიგურირებს ირაკლია ალასანიაც და ის პრემიერს არასასურველ კონტექსტში მოიხსენიებს. თუ ეს ჩანაწერები მართალია, მაშინ ივანიშვილი დიდი კაცი ყოფილა, აქამდე რომ აიტანა თავის გუნდში ალასანია.

– იმ აუდიომასალაში გუბაზ სანიკიძის ჩანაწერიც არის. ისიც ცუდ რამეებს ამბობს. მაშინ ის რატომ არ ამოიჩემა პრემიერმა.

– ეგ მე არ ვიცი. მაშინ ამ ჩანაწერებზე ყველამ თქვა, რომ ეს იყო ტყუილი. ივანიშვილი დიდსულოვანი ადამიანი ყოფილა, თუ ეს მართალია და ამათ გუნდში იტანს. თუ ჩანაწერები ნამდვილია, ივანიშვილს უს არ უნდა მოეთმინა, მაგრამ, თუ ითმენ, მაშინ ქვეტექსტებით ნუღარ ებრძვი ადამიანს. გამოვიდეს და პირდაპირ თქვას, სინამდვილეში რატომ გადაემტერა ალასანიას. დღეს ყველა ამას კითხულობს. თუ რამე მიქარული აქვს, მაშინ პირდაპირ უნდა თქვას. ასეთი საუბრები ივანიშვილს აპატარავებს. დიდი კაცია ივანიშვილი თუ პატარა, ამას ეს არჩევნებიც დაადასტურებს. ბოლო დროს გაკეთებული განცხადებებით გამოვლინდა მისი პატივმოყვარეობა. მარგველაშვილს გამარჯვება რომ მოუტანოს, ის უკვე პირდაპირ აშანტაჟებს ხალხს. ძალიან მინდა, ჩემზე რაიმე თქვას, მაშინვე გავცემ სათანადო პასუხს.

– ამას ისეთი ტონით ამბობთ, რაღაც ისეთი უნდა იცოდეთ ივანიშვილზე.

– ამ შემთხვევაში იმაზე არ ვსაუბრობ, რა ვიცი და რა არ ვიცი პრემიერზე, მაგრამ ისეთი განცხადებების გაკეთება მიწევს, რითიც არ ვამაყობ ხოლმე. მე უფლისგან ერთი სიცოცხლე მაქვს მოცემული. ორჯერ ტანკებს დავხვდი ქუთაისში, ყველაზე კრიტიკულ სიტუაციაში ჩავედი სოხუმში და ტყვიების ზუზუნში დავდიოდი ცხინვალში. ეს იმიტომ გავაკეთე, რომ ასე სჭირდებოდა ქვეყანას. მე არ უნდა მაკადროს ბიძინა ივანიშვილმა იმის თქმა, რას აკეთებდით ეს ათი წელიო.

– ეს როდის გითხრათ?

– ყველას გვითხრა. განაცხადა, სააკაშვილს 10 წელი ითმენდითო. მე მას ყოველთვის ვებრძოდი. ამ დროს ივანიშვილი ნაციონალებს აძლიერებდა. სააკაშვილის გამძლიერებლებისა და შემქნელების 99% გვერდით ჰყავს. თვითონ ივანიშვილმა დააყენა ფეხზე წაქცეული სააკაშვილი. ნახეთ 10 წლის წინანდელი გაზეთები და შეამოწმეთ, რა რეიტინგი ჰქონდა სააკაშვილს. ამის გამო ქვეყანას ბოდიში მოუხდეთ და აქეთ ნუ გვამადლით რაღაცებს. ერთხელ დაგვასვით თავზე კაცი, რომელმაც ქვეყანა დააქცია. ახლა კიდევ ერთხელ გვასვამთ თავზე კაცს, რომელიც მასონური წრეების წარმომადგენელია. მე არ მჯერა, რომ მარგველაშვილი ივანიშვილმა თავისი ნებით დაასახელა.

– აბა, დაასახელებინეს?

– რა თქმა უნდა. მე ივანიშვილზე კარგი წარმოდგენის ვარ და ვერ დავიჯერებ, რომ მარგველაშვილი მის მიერ არის გამორჩეული. ან რას გადაგვაყოლეს მის განათლებულობას. როდის იყო, საქართველოში განათლებული კაცი უკვირდათ.

– ამბობენ, კარგი ფილოსოფოსიაო.

– მაჩვენეთ მისი ფილოსოფიური შრომა. ერთი წიგნი აქვს გამოცემული – როგორ ჩავატაროთ არჩევნები. ეს წიგნი ენ-დი-აიმ დააფინანსა. ეს ის კაცია, რომელმაც გვითხრა, რომ პლასტილინია და თავისი განცხადებით დაამტკიცა, რომ ჭეშმარიტად პლასტილინია.

– რომელი განცხადებით?

– ივანიშვილმა განაცხადა, მეორე ტური თუ დაინიშნა, მარგველაშვილმა მონაწილეობა არ უნდა მიიღოსო. ისიც უცბად დაეთანხმა პრემიერის ნათქვამს. მე ამ არჩევნებზე მხარს ნინო ბურჯანაძეს ვუჭერ, მაგრამ ივანიშვილის მხარდამჭერი უფრო ვარ.

– ეგ რანაირად, ბატონო თემურ?

– მარგველაშვილის გარდა, სხვა კანდიდატის გამარჯვება ივანიშვილის გამარჯვებაა.

– იმ სხვებში დავით ბაქრაძესაც გულისხმობთ?

– ცხადია, არა. ივანიშვილის წარმატება და გამარჯვება იქნება, თუ ამ არჩევნებს ნინო ბურჯანაძე მოიგებს.

– ბატონო თემურ, თქვენ ხშირად ძალიან მწვავედ აკრიტიკებდით ნინო ბურჯანაძეს. ბუნებრივია, ისმის კითხვა, რატომ გახდით მისი მხარდამჭერი. კი ამბობთ, ამით ივანიშვილს უფრო ვუჭერ მხარსო, მაგრამ...

– ყოველთვის ვაღიარებ და ახლაც ვაღიარებ, რომ ჩემზე მწვავედ ცოტა ვინმე თუ აკრიტიკებდა ნინო ბურჯანაძეს, მაგრამ რაღაცები უნდა გავითვალისწინოთ. 1. მე აღარ მსურს ქვეყნის მაღალ პოსტზე „თავისუფლების ინსტიტუტის“, „სოროსის ფონდისა“ და ენ-დი-აი-ს სათავეებთან მყოფი, მათი და სხვადასხვა მასონური მიმართულების, სექტებისა თუ ჯგუფების წინაშე ანგარიშვალდებული პიროვნება. მარგველაშვილი ასეთია. ეს ფაქტებით დასტურდება და ასევე მისი განცხადებებითაც. ერთის მოტანაც კი საკმარისია: მან თქვა, რომ ლევან რამიშვილი, თემურ იაკობაშვილი, ნიკა რურუა და გიგა ბოკერია (ეს კი, პრაქტიკულად, მთელი „თავისუფლების ინსტიტუტია“, თუთბერიძის ჩათვლით) მისი მეგობრები არიან.

2. მიმაჩნია, რომ დღეს ქვეყანას, მის დემოკრატიულ განვითარებას არნახულად სჭირდება პრეზიდენტი „ქართული ოცნების“ გარეთ, ხოლო მარგველაშვილის არჩევა ბიძინა ივანიშვილის დასასრულად მიმაჩნია. არასდროს არსად მომავალი არ ჰქონია და არ აქვს ერთი კაცის ხათრით არჩეულ პარლამენტს, მთავრობასა და პრეზიდენტს.

3. ნინო ბურჯანაძე „სახალხო კრების“ კანდიდატია. მე, როგორც კრების აღმასრულებელი საბჭოს წევრი, მხარს ვუჭერ კრების საპრეზიდენტო კანდიდატს. აქვე მინდა ვთქვა, „სახალხო კრება“ დიდი ხანი ფიქრობდა საპრეზიდენტო კანდიდატთან დაკავშირებით. ჩვენი პოზიცია იყო: თუ ბატონი ბიძინა ივანიშვილი იყრიდა კენჭს პრეზიდენტად, ჩვენ მას დავუჭერდით მხარს, თუ ბატონი ივანიშვილი წამოაყენებდა საზოგადოებისთვის ისეთ ცნობილ პიროვნებას, როგორიც მინდია უგრეხელიძეა, ჩვენ მას დავუჭერდით მხარს. მე მქონდა კერძო პოზიცია ირაკლი ალასანიასთან დაკავშირებით. თუ ბატონი ბიძინა მის კანდიდატურას დააყენებდა, მე ან ნეიტრალურ პოზიციას დავუჭერდი, ან თუ იგი გაიზიარებდა ჩვენს მოთხოვნებს, შეიძლებოდა, მისთვის დამეჭირა მხარი. ასეთივე განსაკუთრებული პოზიცია მქონდა იურისტთა მსოფლიო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტ პაატა ცნობილაძესთან დაკავშირებით. თუ ბატონი ბიძინა მის კანდიდატურას დააყენებდა, მე მას დავუჭერდი მხარს. სამწუხაროდ, ბატონმა ივანიშვილმა ისეთი კანდიდატი წამოაყენა, უარესის წარმოდგენაც კი შეუძლებელია, იმ მიზეზების გამო, რომლებიც ზემოთ უკვე აღვნიშნე.

4. კანდიდატთა შორის ნინო ბურჯანაძე ყველაზე მეტად არის ქართული ტრადიციების ერთგული მიმდევარი და პატივისმცემელი. ის ყველაზე გამოცდილი პოლიტიკოსია და, რაც მთავარია, მე მჯერა „სახალხო კრებისა“ და იმ პრინციპების, რის გამოც მისი კანდიდატურა დავაყენეთ. დარწმუნებული ვარ, გამარჯვების შემთხვევაში ამას მთელი საქართველო დაინახავს.

5. როგორც ჩანს, ჩემი ოპონენტები არ იცნობენ „სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭოს მონაწილეობით, „თეორებისა“ და „დემოკრატიული მოძრაობის“ შეხვედრის მასალებს. ჩემს გამოსვლას, იმ დოკუმენტებს, რომლებიც ჩვენ გადავეცით, იმ პირობებს, რომლებიც ჩვენ დავუყენეთ ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს. გაგახსენებთ ერთს ამ გამოსვლიდან: „თქვენი პრეზიდენტობის შემთხვევაში თქვენ არ გექნებათ საკუთარი ვალდებულება პერსონალურად „თეორების“ რომელიმე წევრის მიმართ, მაგრამ თქვენ გექნებათ განსაკუთრებული ვალდებულება ჩვენი პროგრამების შესრულებაზე“ (სრულად ყველა მასალა ნახეთ „თეორების“ ვებ.გვერდზე).

6. უამრავ ადამიანს ვხვდები, რომელთათვისაც ნინო ბურჯანაძე მიუღებელი იყო, მაგრამ, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, დღეს ხმამაღლა ადასტურებს მისდამი მხარდაჭერას. ბევრს გაუკვირდება, მაგრამ პირდაპირ ვამბობ და ეს არის „სახალხო კრების“ პოზიციაც, რომ ნინო ბურჯანაძის გამარჯვება ამ პოლიტიკურ სიტუაციაში გაცილებით მეტად არის ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერა, რადგან ნინო ბურჯანაძე ბიძინა ივანიშვილს არ დაუპირისპირდება, მაგრამ არც ფეხქვეშ გაეგება და ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ მოქმედებაში სრულად იქნეს მოყვანილი ბიძინა ივანიშვილის პოტენციალი, რომელსაც „ქართული ოცნება“ და კოაბიტაციის პროცესი ულმობლად ანადგურებს. კაცმა რომ თქვას, ნებისმიერ ძლიერ და თავის თავში დარწმუნებულ, ქვეყანაზე შეყვარებულ პოლიტიკოსს, მით უფრო ხელისუფალს, ჰაერივით სჭირდება ასეთი პიროვნების გვერდით დგომა. არ შევცდები, თუ ვიტყვი: ეს არჩევნები ან იმას დაადასტურებს, რომ ბიძინა ივანიშვილი ძლიერია, ან იმას, რომ სუსტი და პატივმოყვარეა. გულწრფელად მინდა, პირველი იყოს.

უცხოელი დიპლომატები იმედოვნებენ, რომ სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობის თაობაზე საქართველო სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის რიჩარდ ნორლანდის განცხადებით, რომელიც მან დღეს კახეთში სტუმრობისას ჟურნალისტებთან საუბარში გააკეთა, სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილება საქართველომ თავად უნდა მიიღოს. ელჩის თქმით, ის დარწმუნებულია, რომ საქართველო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სწორ პოზიციას დაიკავებს.

,,მე ძალიან კარგად მესმის რატომაა შეწუხებული ხალხი ამ საკითხის გამო. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს მთავრობა სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს"-აცხადებს ნორლანდი. რაც შეეხება გერმანიის სრულუფლებიანი ელჩის საქართველოში, ორთვინ ჰენინგის პოზიციას, ის ქართველი ერის დამოკიდებულებას ოლიმპიადაში მონაწილეობის შესახებ იზიარებს და ქართველ ერს ურჩევს, რომ სიტუაციაა ემოციების გარეშე აწონ-დაწონონ.

,,მე რომ ქართველი ვიყო, დარწმუნებული ვარ შინაგანად, ემოციურად, ოლიმპიადაში ქართველების მონაწილეობის წინააღმდეგი ვიქნებოდი, მაგრამ როგორც უცხოელი დამკვირვებელი, ქართველ ერს ვურჩევდი, რომ სიტუაცია ემოციების გარეშე აწონ-დაწონონ და ქვეყნისთვის საუკეთესო გადაწყვეტილება მიიღონ. ისიც მესმის, რომ მთავრობა ძალიან რთული არჩევანის წინაშე დგას"– განაცხადა ორთვინ ჰენინგმა ჟურნალისტებთან საუბარში.

ნიუსპრესი

ახალგაზრდა ადვოკატები საგანგებო განცხადებას ავრცელებენ

გულიკო ბალაძე

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ სპეციალური განცხადება გააკეთეს საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის, საქართველოს თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიასა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადებებთან დაკავშირებით, რადგან ამ საკითხზე მათ მოკვლევა ჩაატარეს და არაერთხელ გაავრცელეს ინფორმაცია.

– ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ ვეხმაურებით საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბატონი ბიძინა ივანიშვილის 17 ოქტომბრისა და საქართველოს თავდაცვის მინისტრის, ბატონი ირაკლი ალასანიას 18 ოქტომბრის განცხადებას, ასევე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ 18 ოქტომბერს გავრცელებულ საჯარო შეფასებას საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტებთან მიმართებით. მიგვაჩნია, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოზიცია პასუხობს საზოგადოების ინტერესებს. დასაბუთებასა და განმარტებას მოითხოვს ჯარისკაცების მოწამვლის საქმეზე გრიფით „საიდუმლოს“ დადების მიზანშეწონილობა, – აცხადებს ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ თავდაცვის სფეროში მომხდარ ფაქტებთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების შედეგები საზოგადოებისთვის მალე გახდება ცნობილი.

– ორგანიზაცია იმედოვნებს, რომ ფაქტებთან დაკავშირებით გამოძიება მალე დასრულდება და საზოგადოება პრობლემის შესახებ დასაბუთებულ დასკვნას მიიღებს.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ გაკვირვებას თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას ზოგიერთი შეხედულება იწვევს. კერძოდ, თავდაცვის მინისტრი „ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ სხვადასხვა დროს ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტებზე გავრცელებულ ინფორმაციას სიცრუეს უწოდებს.

– „ახალგაზრდა ადვოკატები“ ვეხმაურებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ განცხადებას, ხოლო მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ უშუალოდ საქართველოს თავდაცვის მინისტრის, ბატონი ირაკლი ალასანიას შეფასებებს. ჩვენს გაკვირვებას იწვევს მინისტრის ზოგიერთი შეხედულება, რომლის თანახმადაც, „ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ სხვადასხვა პერიოდში გავრცელებული განცხადებები ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტების შესახებ შეფასებულია, როგორც პროვოკაცია და ცრუ ინფორმაცია.

მინისტრი მიუღებლად და დანაშაულად მიიჩნევს საქართველოს შეიარაღებულ ძალებთან დაკავშირებით მიზანმიმართულ ცრუ ინფორმაციის გავრცელებას. მისივე სიტყვებით, არსებობს ადამიანთა კატეგორია, რომლებსაც ის არ უყვართ, არ მოსწონთ, თუმცა კრიტიკა აბსოლუტურად მისაღებია, როგორც დემოკრატიის ნაწილი.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს თავდაცვის მინისტრს მოუწოდებენ, ორგანიზაციის უფლებადაცვითი საქმიანობის მიმართ მეტი ყურადღება და კოლეგიალობა გამოიჩინოს.

– დემოკრატიულ საზოგადოებაში სწორედაც პრობლემებზე ღია მსჯელობა, დისკუსია და შეცდომების აღიარებაა მმართველის მთავარი მაღალი პოლიტიკური და მორალური პასუხისმგებლობის გამომხატველი და არა არაკეთილმოსურნეების ძიება და სიტყვებით თამაში. ორგანიზაცია პასუხისმგებელია ყველა საჯარო განცხადებასა და პოზიციაზე, რომელმაც საჯარისო ნაწილებში სამხედროების მოწამვლის ცალკეული შემთხვევები გამოამზეურა.

„ახალგაზრდა ადვოკატებს“ მიაჩნიათ, რომ ჯარისკაცების მოწამვლის შემთხვევებთან დაკავშირებით დასმული მთავარი შეკითხვები მათთვის ჯერ კიდევ პასუხგაუცემელია.

– ბატონო მინისტრო, ჩვენ გვაქვს შეკითხვების დასმის, პრობლემებზე მსჯელობის, მათ შორის, თქვენი უწყების კონტროლის უფლება, როგორც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, ხოლო ფაქტებით, მტკიცებულებებითა და ანალიზით მსჯელობა, რომელსაც სამართლიანად მოითხოვთ, ჩვენი პროფესიული ვალდებულებაა. ჩვენ გვაქვს ყველა ჩვენს საჯარო აქტიურობაზე არგუმენტები და დასაბუთება. ამიტომაც გვსურს, ვიდრე ლოჯისტიკის სფეროში არსებულ პრობლემებზე მსჯელობას დანაშაულის კატეგორიად მიიჩნევდეთ, ვიმსჯელოთ ასეთი დანაშაულის ნიშნების არსებობაზე.

ასევე უმჯობესი იქნებოდა, სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მხრიდან ყურადღება გამახვილებულიყო „ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ გამოგზავნილ არა მხოლოდ 17 აგვისტოს წერილზე. ორგანიზაციამ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მართლაც არაერთი წერილით მოგმართათ, მათ შორის, პროექტ „ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებასთან“ ფარგლებში ირაკლი ალასანიასთან შეხვედრის შესახებ, თუმცა ჩვენთვის მხოლოდ 17 ოქტომბერს, პრემიერთან მედიის წარმომადგენლების შეხვედრაზე გახდა ცნობილი, რომ სამხედრო ჯარისკაცების მოწამვლის საქმე გრიფით „საიდუმლოს“ კატეგორიას მიეკუთვნებოდა. სამინისტროს ორგანიზაციის მიმართ გამოგზავნილ არც ერთ საპასუხო წერილში ამის შესახებ მითითებული არ ყოფილა. ჩვენთვის საქმის „გრიფირება“ სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა, რაც კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს, რომ სამინისტროს ლოჯისტიკის სფეროში არსებული სამართლებრივი და სისტემური პრობლემები ირიბად დადასტურებულია, – ნათქვამია „ახალგაზრდა ადვოკატების“ განცხადებაში.

ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ, ყველაფრის მიუხედავად, ირაკლი ალასანია ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწეა.

– ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ საჯარისო ნაწილებში არსებული პრობლემებისა და ცალკეული შემთხვევების მიუხედავად, საქართველოს თავდაცვის მინისტრი, ბატონი ირაკლი ალასანია, ერთ-ერთი თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწეა, რომელსაც გააჩნია მაღალი პროფესიონალიზმი და საჭირო გამოცდილება საქართველოს მომავლისათვის. „ახალგაზრდა ადვოკატები“ ცალსახად ვაფიქსირებთ მინისტრის მიმართ პატივისცემას, თუმცა, ამის მიუხედავად, მივუთითებთ, რომ ჩვენი უფლებადაცვითი საქმიანობა და პოზიციების ფორმირება ვერ იქნება რომელიმე საჯარო პოლიტიკური მოღვაწის მიმართ პირადი შეხედულებებით განპირობებული. ჩვენთვის მთავარია ძლიერი ინსტიტუციები, სისტემური ცვლილებები და ამ პროცესში მიღებული გადაწყვეტილებების კონტროლი.

როგორც „ახალგაზრდა ადვოკატები“ აცხადებენ, ორგანიზაცია 27 ოქტომბრამდე საზოგადოებას სპეციალურ ანგარიშს წარუდგენს, სადაც დეტალურად შეფასდება ორგანიზაციის საჯარო განცხადებები ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტების შესახებ, სამინისტროსადმი გაგზავნილი და სამინისტროდან მიღებული წერილების შინაარსი, „ქართული კვების კომპანიასთან“ ორგანიზაციის კომუნიკაცია, ლოჯისტიკის სფეროს სხვადასხვა უფლებამოსილი პირების მიერ მედიაში გამოთქმული შეფასებები და ყველა ის ინფორმაცია, რომლებიც საკითხით დაინტერესებულ საზოგადოებას თემის შესახებ სრულფასოვან წარმოდგენას შეუქმნის.

ორგანიზაციის სურვილია, საზოგადოებაში შეიქმნას და ჩამოყალიბდეს სწორი შინაგანი რწმენა – საჯარისო ნაწილებში ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტებზე, კერძოდ, ფაქტების გასაჯაროება წარმოადგენს დანაშაულს, პროვოკაციას, მიზანმიმართულ ქმედებას თუ გამოხატავს ორგანიზაციის თანმიმდევრულ, პრინციპულ და ობიექტურ საქმიანობას.

ზაალ კასრელიშვილი: „საქართველოს წინააღმდეგ შავი პიარი გორდება“

უშიშროების საბჭოს მდივნისა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის გიგა ბოკერიას მოსკოვურ კავშირებზე ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში მითქმა-მოთქმა ატყდა. ცოტა ხნის წინ კი ბრიტანულ ჟურნალ „ეკონომისტში“ დაიბეჭდა მასალა სათაურით — „საქართველოს მომავალი — არანაირი ცვლილება უკეთესობისკენ“, სადაც ახალი ხელისუფლების ქმედებები ნეგატიურ კონტექსტში იყო განხილული.

მასალის გამოქვეყნების შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამ ყველაფერს გიგა ბოკერია უზრუნველყოფს, რომელსაც უცხოეთში გამომავალი ერთ-ერთი გაზეთის მოსკოვის ბიუროს ხელმძღვანელთან აქვს კონტაქტი და სწორედ მისი მეშვეობით ახორციელებს დასავლური გამოცემების მიერ „ნაციონალური მოძრაობისთვის“ სასურველი მასალების დაბეჭდვას.

კერძოდ კი, საქმე ჟურნალ „The Wall Street journal“-ის, მოსკოვის ბიუროს ჟურნალისტ ალან კულისონს ეხება. ის სხვათა შორის, ამ ცოტა ხნის წინ პანკისის ხეობასაც სტუმრობდა. ალან კულისონი ამერიკის მოქალაქეა, რომელიც საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესახებ, არაერთი სტატიის ავტორია.

„The Wall Street journal“-ის ჟურნალისტის საქმიანობისა და პანკისში ვიზიტის შესახებ „ნიუსპრესი“ ექსპერტ ზაალ კასრელიშვილს ესაუბრა, რომელმაც ამ ფაქტთან დაკავშირებით, ჩვენთან საუბარში საკმაოდ შემაშფოთებელი ფაქტებისა და მოსალოდნელი მოვლენების შესახებ ისაუბრა.

– რატომ მიგაჩნიათ, რომ ჟურნალისტ ალან კულისონის ქმედებები საეჭვოა, რომელმაც შეიძლება ქვეყანას რაიმე სახის ზიანი მიაყენოს?

– ჩვენ კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის ლიდერებისგან გვაქვს ინფორმაცია, რომ ალან კულისონი ამზადებს ანტიქართულ მასალას პანკისის ხეობასთან დაკავშირებით. მასალაში, ჩვენი ინფორმაციით, კულისონი პანკისის ხეობას ალ-ქაიდას საწვრთნელ ბაზასთან გააიგივებს და გამომდინარე იქედან, რომ პანკისის ხეობა საქართველოს ნაწილია, შესაბამისად, ჩვენს ქვეყანას საერთაშორისო არენაზე, იმიჯი სერიოზულად შეელახება.

გარდა ამისა, ჩვენი ორგანიზაციის წევრებმა ევროპიდანაც და აზიის ერთ-ერთი ქვეყნიდანაც, მოგვაწოდეს ინფორმაცია, რომ ალან კულისონი პანკისიდან სირიაში მებრძოლ ერთ-ერთ ჯარისკაცს დაუკავშირდა და მას ისეთი კითხვები დაუსვა, რომელიც ასე ვთქვათ, ჟურნალისტისთვის შეუფერებელია.

– მაგალითად?

– მაგალითად კულისონი ეკითხებოდა სირიაში მებრძოლ ერთ-ერთ ჯარისკაცს, რომ შესაძლებელია თუ არა იარაღით ვაჭრობა და იარაღის კონტრაბანდა პანკისიდან და სირიაში. ასევე, შეიძლებოდა თუ არა პანკისიდან საქართველოს ტერიტორიის გავლით სირიაში ქიმიური და ბიოლოგიური იარაღი გასულიყო და ა. შ. ეს ყველაფერი რა თქმა უნდა ეჭვს ბადებს.

– ხომ შეიძლება საქმე ჟურნალისტურ გამოძიებასთან გვქონდეს?

– მესმის რომ ჟურნალისტური გამოძიება, ჟურნალისტური გამოძიებაა, მაგრამ როცა ადამიანი ჩადის პანკისში და ჩუმად და შენიღბულად მოქმედებს, ეს ყველაფერი უკვე საეჭვო ხდება.

– როგორც ცნობილია ალან კულისონს საკმაოდ კარგი ურთიერთობა აქვს გიგა ბოკერიასთან. უფრო მეტიც, არსებობს მოსაზრება, რომ ბოკერია დასავლურ მედიაგამოცემებზე სწორედ კულისონის მეშვეობით გადის. მიგაჩნიათ თუ არა, რომ ისინი პანკისის თემაზეც შეთანხმებულად მოქმედებენ?

– ჩვენი თანამოაზრეების ინფორმაციით, რომლებიც ცხოვრობენ კავკასიის ფარგლებს გარეთ და არა რუსეთში, ალან კულისონი ადრე გიგა ბოკერიასთან საკმაოდ აქტიურად თანამშრომლობდა. არსებობს ინფორმაცია აგრეთვე იმასთან დაკავშირებითაც, რომ ამ ორ პიროვნებას ერთმანეთთან, დასავლეთში კიდევ ერთი ადამიანი აერთიანებს, რომელიც წლების განმავლობაში, ევროპაში „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლობისტი იყო.

რაც შეეხება ბოკერიას თანამშრომლობას ჟურნალისტთან, რასაკვირველია მასთან დაკავშირებით პანკისის ხეობაზე მოსამზადებელ მასალაზეც ჩნდება ეჭვი, რადგან, როგორც ვთქვით, ჩვენთვის მათი მეგობრობა ცნობილია. თუმცა დარწმუნებით ვეერაფერს გეტყვით, ამიტომ, თქვენი საშუალებით გვინდა გიგა ბოკერიას მივმართოთ, იყო თუ არა მისთვის ცნობილი, ალან კულისონის პანკისის ხეობაში ვიზიტის შესახებ და იცოდა თუ არა მან, რომ ჟურნალისტი ამ მასალას ამზადებდა?

– ანუ არსებობს საფრთხე, რომ საქართველო ახლო მომავალში შეიძლება დასავლეთის მედიასაშუალებების ყურადღების ცენტრში პანკისის ხეობის გამო მოექცეს?

– რა თქმა უნდა. ჩვენ ვაფრთხილებთ საზოგადოებას, რომ საქართველოს გარშემო პანკისის თემით შავი პიარი აგორდება და ეს თებერვალში, უფრო სწორად კი ოლიმპიადის შემდეგ დაიწყება. ამ ყველაფრის წინაპირობა კი, ალან კულისონის მიერ პანკისის ხეობასთან და საქართველოში ვაჰაბისტი მეომრების მოძრაობასთან დაკავშირებით მომზადებული სიუჟეტი იქნება.

სოფიო გაბისონია
საინფორმაციო სააგენტო ნიუსპრესი

საპრეზიდენტო არჩევნებისათვის ბიულეტენების ბეჭდვა დღეიდან დაიწყება

.27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის ბიულეტენების ბეჭდვა ხვალიდან, 21 ოქტომბრიდან დაიწყება. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, ბიულეტენები თბილისის 10 სტამბაში დაიბეჭდება. ბიულეტენების ბეჭდვის პროცესს ცესკოს წევრებთან ერთად 8 არასამთავრობო ორგანიზაციის დამკვირვებლები დააკვირდებიან.

შეგახსენებთ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებისათვის ცესკოში 23 კანდიდატია რეგისტრირებული.

მედიანიუსი

„არჩევნებზე ყველა უნდა მოვიდეს, რათა გაყალბების შესაძლებლობა გამოირიცხოს“

პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერი და საპრეზიდენტო კანდიდატი ნინო ბურჯანაძე, საარჩევნო კამპანიის მეორე ტურნეს ფარგლებში, გუშინ მარნეულის მოსახლეობას შეხვდა. ნინო ბურჯანაძემ მოსახლეობასთან შეხვედრისას ადგილობრივი მაცხოვრებლების პრობლემები მოისმინა და მათი გადაჭრის გზებზე ისაუბრა.

„დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ ძალიან დიდი მხარდაჭერა გვექნება არა მხოლოდ მარნეულში, არამედ მთელ საქართველოში. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა მოვიდეს არჩევნებზე რათა არჩევნების გაყალბების შესაძლებლობა გამოირიცხოს, რადგან ის სიები, რომელიც დღეს გამოქვეყნდა, კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ თუ მოქალაქეები აქტიურები არ იქნებიან, მანიპულაციების საშუალება არსებობს. ამიტომ მე ყველას არჩევნებზე მოსვლისკენ მოვუწოდებ.

ის ტრადიცია, როდესაც იგივე მარნეულის რაიონში მხოლოდ სახელისუფლებო კანდიდატი იღებდა ხმებს, ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეიცვალოს. ყველა რაიონსა თუ რეგიონში ადამიანებმა ხმა უნდა მისცენ არა ძალდატანებით და იძულებით, არამედ გაცნობიერებული არჩევანით, რომ შემდეგ ამ მიცემული ხმისთვის, არჩეულ კანდიდატს პასუხი მოსთხოვონ“ – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ მარნეულში.

ნიუსპრესი

დღეს საია ახალი კვლევის შედეგებს წარადგენს

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია დღეს ახალი კვლევის პრეზენტაციას გამართავს. კერძოდ, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები თემაზე: „საჯარო სამსახურებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეძენის წესი -— საქართველოში არსებული პრაქტიკა და საერთაშორისო გამოცდილება“ ჩატარებული კვლევის შედეგებს წარადგენენ.

როგორც ცნობილია, საჯარო სამსახურებში ავტომანქანების შეძენის წესსა და პირობებზე სახელმწიფო კომისია იმუშავებს, რომელიც მთავრობის გადაწყვეტილებით რამდენიმე დღის წინათ შეიქმნა. კომისია იმსჯელებს, თანამდებობის რომელმა პირებმა უნდა ისარგებლონ სახელმწიფო მანქანებით, რა ტიპის ავტომობილები უნდა მოემსახუროს მათ და ა.შ.

ღონისძიება თბილისში, ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ოფისში გაიმართება.

მედიანიუსი

ახალაიადან ალასანიამდე ანუ ტირანიიდან დიარეამდე

ქვეყანაში ხელისუფლების ცვლილებიდან ერთი წლის თავზე, ახალი მთავრობის წარმომადგენელთა სიავკარგეზე უკვე ბევრი რამე შეიძლება ითქვას.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ეკონომიკური წინსვლა ჯერჯერობით არ შეინიშნება, ყოველ შემთხვევაში ამას ასახვა მოსახლეობის სოციალურ ყოფაზე არ უპოვია და ალბათ ასე მოკლე დროში ეს მოსალოდნელი არც იყო, უკვე შეიძლება ითქვას იმ ნაკლოვანებების შესახებ, რაც ახალ ხელისუფლებას, უფრო კონკრეტულად კი, მისი აღმასრულებელი შტოს ზოგიერთ წარმომადგენელს გააჩნია.

ქვეყნის პრემიერმა სულ ცოტა ხნის წინ მინისტრთა კაბინეტი, „კარგებად“ და „ძალიან კარგებად“ დაყო. „ძალიან კარგებში,“ თავდაპირველად ქვეყნის ნომერ პირველი სამხედრო, ირაკლი ალასანიაც მოხვდა, თუმცა მოგვიანებით, ის უკვე „კარგი მინისტრების“ სიაში ვიხილეთ.

ნაკლებად სავარაუდოა, რომ ირაკლი ალასანიას „ჩამოკარგმინისტრება“ მის საპრეზიდენტო ამბიციებს უკავშირდებოდეს. ამის მიზეზი სავარაუდოდ, უფრო მის სამხედროსფეროში მოღვაწეობაში უნდა ვეძებოთ.

მიუხედავად იმისა, რომ პრემიერმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე განაცხადა, საპრეზიდენტოდ ირაკლი ალასანიას კანდიდატურას ვერ ვხედავო, თავდაცვის დღევანდელ მინისტრს საპრეზიდენტო ამბიციები არ განელეებია და როგორც მან ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში განაცხადა, ამ თემაზე ბიძინა ივანიშვილთან საკმაოდ დაძაბული საუბრებიც ჰქონდა.

ამის შემდეგ თითქოს ყველაფერი ჩაწყნარდა, კალაპოტში ჩადგა და ირაკლი ალასანიაც შეეგუა, რომ მინიმუმ 5 წლის განმავლობაში, ის პრეზიდენტობაზე ვერც კი იოცნებებდა.

თუმცა როგორც ჩანს, საპრეზიდენტო ამბიციის იძულებითმა დათრგუნვამ, ზოგადად ირაკლი ალასანიას შრომის ეფექტურობაზეიქონია გავლენა, რისი დასტურიც ჯარში დღეს არსებული ვითარებაა.

გამორიცხული არ არის ასევე, რომ ალასანიას, როგორც მინისტრის ეფექტურობა იმ შიდადაპირისპირებამ დააქვეითა, რომელიც მან შინაგან საქმეთა მინისტრს გამოუცხადა.

საქმე ე.წ. „ჯიჰადის ვიდეოებს“ ეხება.

კონკრეტულად კი, იქედან გამომდინარე, რომ ირაკლი ალასანიას კანდიდატურა პრემიერმა საპრეზიდენტო არჩევნებში არ წამოაყენა, მოქმედ თავდაცვის მინისტრს, საკომპენსაციოდ, სავარაუდოდ აღმასრულებელი ხელისუფლების უფრო მეტი სეგმენტის კონტროლი მოუნდა. როგორც ცნობილია, ირაკლი ალასანიას კადრები, დღეს რამდენიმე სამინისტროს პირველი პირები არიან და უნდა აღინიშნოს, რომ თავიანთ საქმეს არცთუ ცუდად ართმევენ თავს, მაგრამ ამ შემთხვევაში, ირაკლი ალასანიამ შინაგან საქმეთა სამინისტროზე კონტროლიც მოინდომა, რაშიც, რბილად რომ ვთქვათ, ფეხი არ ჩაუვიდა.

სავარაუდოდ სწორედ შსს-ზე კონტროლის ხელში აღების სურვილი ამოძრავებდა მას როდესაც თავის კოლეგას შინაგან საქმეთა სამინისტროდან, ირაკლი ღარიბაშვილს დაუპირისპირდა და ე.წ. „ჯიჰადის ვიდეოების“ საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით, პირდაპირ ეთერში გააკრიტიკა.

საპასუხოდ, ალასანიამ მეორე დღესვე ნოკაუტის ეფექტისებური დარტყმა მიიღო, როდესაც მთავრობის სხდომიდან გამოსულმა შინაგან საქმერთა მინისტრმა განაცხადა, რომ ვიდეოს საქმე უკვე კარგა ხნის გამოძიებულია, ხოლო ამის შესახებ ინფორმაციას გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე არ ვასაჯაროებდითო.

შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებას, გამოძიების მასალების გარკვეული ნაწილის გასაჯაროება და დამნაშავე პირის პირდაპირი დასახელება მოჰყვა, რაშიც ეჭვის შეტანა თვით ყველაზე სკეპტიკოსებსაც კი გაუჭირდათ, ხოლო ამ ყველაფერმა ალასანიას იმიჯს სერიოზული დარტყმა მიაყენა.

ამავე რუბრიკაში ადრეც არაერთგზის დაგვიწერია, რომ ირაკლი ღარიბაშვილი, როგორც ბიძინა ივანიშვილის სანდო პირი და ამავდროულად წარმატებული მინისტრი იმ უწყებისა, რომლის როლიც ქვეყნის შიდა უსაფრთხოებაში ძალიან დიდია, – დარტყმის ობიექტი აუცილებლად გახდებოდა როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან, ასევე მათი მხარდამჭერი იმ პოლიტიკური ძალების მხრიდან, რომლებიც დღეს კოლიციაში არიან თავშეფარებულნი.

ირაკლი ღარიბაშვილის უწყების კრიტიკა, თავდაპირველად თავის თავზე „რესპუბლიკელებმა,“ კონკრეტულად კი მათმა ერთ-ერთმა ლიდერმა, თინა ხიდაშელმა აიღო, თუმცა ამ პარტიის აქტივობა აღნიშნული მიმართულებით, მალევე შეწყდა, ყოველ შემთხვევაში ეს გარედან აღარ ჩანს.

რაც შეეხება კოალიციის კიდევ ერთ სუბიექტს, ირაკლი ალასანიასა და მის პარტიას, ისინი ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ ბრძოლას დღესაც აგრძელებენ, რაც ბადებს ეჭვს, რომ ირაკლი ალასანიასა და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის დღეს არსებული თანამშრომლობის შესახებ ვარაუდს არსებობის საფუძველი ნამდვილად გააჩნია.

თუ დღეს ირაკლი ღარიბაშვილისა და ზოგადად, შინაგან საქმეთა სამინისტროს დასუსტებით ვინმეა დაინტერესებული, ეს „ნაციონალური მოძრაობაა“. ლოგიკურად, ირაკლი ალასანიას თავდასხმები შინაგან საქმეთა სამინისტროზე, სწორედ, ნაცებთან შეთანხმებული გეგმით შეიძლება აიხსნას.

საზოგადოებას კიდევ ერთხელ მინდა შევახსენო, რომ ირაკლი ალასანია იყო პიროვნება, რომელიც 2009 წლის 9 აპრილის აქციების დროს, დღისით ათეულ ათასობით ადამიანს თვალებში უყურებდა და აცხადებდა, რომ ხალხის ნება უზენაესი იყო, ხოლო საღამოს, პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარის დავით ბაქრაძის წყნეთის აგარაკზე კონსპირაციულად დადიოდა. მისივე ინიციატივით აიღეს ე.წ. საკნები კოსტავას ქუჩაზე, საზოგადოებრივი მაუწყებლის წინ.

სწორედ ირაკლი ალასანია იყო მოთავე და ინიციატორი მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებასთან „კონსტრუქციული დიალოგისა,“ ის იყო სულისჩამდგმელი რვიანისა და ექვსიანისა, რომელთა არსებობაც ისევე უშედეგოდ დასრულდა, როგორც თავდაცვის მინისტრის მცდელობა ჩრდილი მიეყენებინა შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ე.წ. „ჯიჰადის ვიდეოების“ გამოძიებასთან დაკავშირებით.

ირაკლი ალასანია იყო პიროვნება, რომელმაც 2011 წლის 26 მაისის მონაწილეებს, რომლებიც აშკარად უთანასწორო პირობებში, პრაქტიკულად, სიკვდილზე წავიდნენ, – მეორეხარისხოვანი ქართველები ეძახა.

ირაკლი ალასანია იყო ის პიროვნება, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილს თურმე ძალისხმევა არ დაუშურებია, რომ საქართველო განვითარებული და დემოკრატიული ქვეყანა ყოფილიყო.

„ნაციონალურ მოძრაობასთან“ სიამტკბილობის ფაქტების ეს არასრული ჩამონათვალიც კი სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ ირაკლი ალასანიას ქმედებებში, დღესაც ნაციონალური კვალი ვეძებოთ.

სხვათაშორის, არსებობის საფუძველი აქვს ვარაუდს იმის შესახებაც, რომ თავდაცვის მოქმედი მინისტრის გაპრეზიდენტებით არა მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობა,“ არამედ დასავლეთის გარკვეული წრეებიც იყვნენ დაინტერესებულნი.

ამის დასტურად საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული ის კვლევები შეიძლება მივიჩნიოთ, რომლისთანახმადაც, ყველაზე წარმატებული თუ ეფექტური მინისტრი ირაკლი ალასანია ყოფილა.

ზოგადად, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთაგან, ყველაზე რთულად შესაფასებელი, თავდაცვის მინისტრის საქმიანობაა, რადგან ქვეყნის ნომერ პირველი ჯარისკაცი ომში გამოიცდება.

ღმერთმა დაიფაროს საქართველო ომში გამოცდისაგან, მაგრამ საინტერესოა რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობდნენ ინტერვიუერები თუ რესპონდენტები, როდესაც თავდაცვის მოქმედი მინისტრის პოპულარობაზე და ეფექტურობაზე საუბრობდნენ.

უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ირაკლი ალასანიას, თუ არ ჩავთვლით გარკვეულ ლოკალურ პოზიტიურ ქმედებებს, – თავდაცვის უწყებაში სერიოზული და ახალი არაფერი არ შეუქმნია.

ანუ, არ გაზრდილა არც არმიის სიდიდე და არც შეიარაღების კუთხით გვაქვს რაიმე სერიოზული წინსვლა.

ერთადერთი, რაც ქართულ არმიაში ნამდვილად შეიცვალა, ეს, იმ ტერორის მოსპობაა, რომელიც იქ ბაჩო ახალაიას დროს იყო და დღეს ქართველი ჯარისკაცი გაცილებით უფრო თავისუფალი და მოტივირებულია სამშობლოს დასაცავად, ვიდრე თუნდაც 2 წლის წინ იყო.

სხვა მხრივ, ქართული ჯარი ჯერჯერობით ისეთივე მდგომარეობაშია, რა მდგომარეობაშიც მიხეილ სააკაშვილის დროს იყო, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ არმიაში კვებითი ინტოქსიკაციის საწინააღმდეგო პრეპარატებზე მოთხოვნა აშკარად გაიზარდა, რისი მიზეზიც ჯარისკაცების მოწამვლის გახშირებული ფაქტებია, რომელსაც თავდაცვის უწყებაში ლამის ყოველდღე აქვს ადგილი.

უფრო მეტიც, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს ბატონი მინისტრის თავისგასამართლებელი არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ ჯარისკაცების მოწამვლა სეზონური ფაქტორის, კონკრეტულად კი ზაფხულის პერიოდის ხელშეწყობით მოხდაო. გამოდის, რომ ზაფხულში, სამხედროების მოწამვლა დასაშვები ყოფილა, რადგან სიცხეში პროდუქტი ადვილად ფუჭდება.

კიდევ უფრო საინტერესო იყო თავდაცვის სამინისტროს პოზიცია ვაზიანის ბაზაზე ბოლო დროს დაფიქსირებული მოწამვლის შემთხვევების შესახებ.

თავდაცვის სამინისტრომ აღნიშნული ინფორმაცია თავდაპირველად საერთოდ უარყო, შემდეგ კი განაცხადა, რომ მხოლოდ სამი ჯარისკაცია მოწამლული და მათი ინტოქსიკაცია იმან განაპირობა, რომ ჯარისკაცებმა ჭამის წინ ხელები არ დაიბანესო.

ამ განცხადებიდან რამდენიმე წუთში კი, თავდაცვის სამინისტრომვე აღიარა, რომ მოწამლული არა სამი, არამედ შვიდი ჯარისკაცი იყო.

გავრცელებული ინფორმაციით კი, 133 სამხედრო მოიწამლა, ხოლო ამ ფაქტის გამო ბაზაზე გაერთიანებული შტაბის უფროსიც კი იყო მისული.

ეს ყველაფერი ბადებს ეჭვს, რომ ქართულ ჯარში მიმდინარე მოვლენების შესახებ საზოგადოება სრულად არაა ინფორმირებული და იქ ბევრი ფაქტის გასაიდუმლოება ხდება. ყველა მათგანის ერთობლიობა კი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ბაჩანა ახალაიასა და ირაკლი ალასანიას თავდაცვის უწყებებს შორის განსხვავება მხოლოდ ტირანიის ფაქტების შემცირებასა და დიარეის ფაქტების მატებაშია.

აქედან გამომდინარე, ნამდვილად არსებობს საფუძველი იმისა, რომ ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ შეიტანოს ეჭვი იმ კვლევის შედეგებში, რასაც ესა თუ ის უცხოური ორგანიზაცია ატარებს საქართველოში.

ზოგადად, როდესაც თავდაცვის მოქმედ მინისტრზე მიდგება საუბარი, ძალაუნებურად ქართული ფოლკლორის ერთ-ერთი პერსონაჟის, რეალურად არსებული პიროვნების, ბარნაბა ეძგვერაძის ასოციაცია ჩნდება.

აღნიშნული პიროვნება ქუთაისში ცხოვრობდა, საკუთარი დუქანი ჰქონდა და საკმაოდ აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებასაც ეწეოდა თურმე.

როგორც გადმოგვცემენ, მის დუქანს ხშირად სტუმრობდნენ ბოლშევიკები და თვით სტალინიც კი, თუმცა ამავე დუქნის არანაკლებ ხშირი სტუმრები იყვნებ მენშევიკებიც.

ბატონ ბარნაბა ეძგვერაძეს კი, ყველა მათგანთან გადასარევი დამოკიდებულება ჰქონია და თურმე ყველას თავის კაცად მიაჩნდა, თუმცა ვის ემხრობოდა ბატონი ბარნაბა, ან როგორ ესახებოდა მას საქართველოს მომავალი განვითარება, ეს დღემდე გამოცანად დარჩა. სწორედ ამის გამოძახილია ქართული ფოლკლორის შემდეგი სტროფი: შემოვიდნენ წითლები/ატყდა დავიდარაბა/რომელ პარტიას ეკუთვნის/ეძგვერაძე ბარნაბა.

ალეკო ჩუნაბიძე
სააგენტო „ნიუსპრესი“

ლიბერთი ბანკი თავისი მომხმარებლისთვის ინოვაციური პროდუქტების შეთავაზებას აგრძელებს

ბანკის დირექტორმა სანდრო რთველაძემ გამართა პრესკონფერენცია ბანკში, ფულადი გზავნილების ახალი სისტემით Transferwise-ით სარგებლობის შესახებ.

Transferwise-მა, როგორც გზავნილების შედარებით ახალმა სისტემამ საკმაო გამოხმაურება ჰპოვა, რადგან იგი თავის მომხმარებელს სთავაზობს ფულადი გზავნილების გაგზავნის და მიღების ახალ, ელექტრონულ ალტერნატივას, რომლის საშუალებით თანხის გაგზავნა უკვე ელექტრონულად, სახლიდან გაუსვლელად, საერთაშორისო გზავნილების სისტემებზე და რაც მთავარია საბანკო გადარიცხვებზე უფრო იაფად არის შესაძლებელი.

ლიბერთი ბანკი გაძლევთ საშუალებას გაგზავნოთ თანხა საქართველოდან ან მიიღოთ თანხა საქართველოში 50-ზე მეტი ქვეყნიდან. Transferwise-ის ასევე დიდი უპირატესობა უფასო კონვერტაცია და თანხის მიღებისა და გაგზავნის ყველაზე დაბალი ტარიფია. იმ შემთხვევაში თუ გზავნით თანხას საქართველოში გზავნილის მიმღებს შეუძლია თანხა მიიღოს საქართველოში ნებისმიერი ბანკის ანგარიშზე, მაგრამ ლიბერთი ბანკის ანგარიშზე თანხის მიღების ტარიფი ყველაზე დაბალია. იმ შემთხვევაში თუ გზავნით თანხას საქართველოდან, გადარიცხვა შეგიძლიათ მარტივად განახორციელოთ ვებგვერდიდან Transferwise.com

მაია ფანჯიკიძე: „თუ ოლიმპიადაში მონაწილეობა საქართველოსთვის შეურაცხმყოფელი იქნება, ხელისუფლება ამ საკითხს გადახედავს“

სოჭის ოლიმპიადაში საქართველოს მონაწილეობის საკითხს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე გამოეხმაურა და განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ოლიმპიადაში მონაწილეობა საქართველოსთვის შეურაცხმყოფელი იქნება, ხელისუფლება ამ საკითხს გადახედავს.

როგორც მაია ფანჯიკიძემ აღნიშნა, მხოლოდ ერთი ფაქტის გამო, რომელზედაც იყო საუბარი, იგი ვერ ხედავს აუცილებლობას რადიკალურად შეიცვალოს განწყობა ოლიმპიადაში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

მინისტრი აღნიშნულ განცხადებაში, სავარაუდოდ, სოჭის ოლიმპიადაში აგვისტოს ომის გმირის, ივან ნეჩაევის მეჩირაღდნეობას გულისმხობდა.

„ამ თემაზე მთავრობამ უკვე გააკეთა ძალიან ამომწურავი განცხადება. გარდა ამისა, პრემიერმაც გააკეთა რამდენიმე განცხადება. თუ ჩვენ შევატყობთ, რომ სოჭის ოლიმპიადაზე მონაწილეობა ჩვენთვის შეურაცხმყოფელი ხდება, ხელისუფლება ამ საკითხს გადახედავს. ჯერჯერობით 3 თვეა დარჩენილი იქამდე და არ არის არაფერი გამორიცხული, მაგრამ ამ ეტაპზე მე პირადად, მხოლოდ იმ ერთი ფაქტის გამო, რომელზედაც იყო ლაპარაკი, ვერ ვხედავ აუცილებლობას, რომ რადიკალურად შეიცვალოს განწყობა“,-აღნიშნა მაია ფანჯიკიძემ.

მედიანიუსი

ფოთში ზღვამ მალტის დროშით მცურავი გემი გამორიყა

ფოთში, ძლიერი ღელვის გამო, ზღვამ მალტის დროშით მცურავი გემი „სმარტი“ ნაპირზე გამორიყა. 35 ვაგონით დატვირთული გემი ფოთის პორტიდან გუშინწინ გავიდა, თუმცა გვიან ღამით 6 ბალიანი ღელვის გამო გემმა მართვა დაკარგა. როგორც ფოთის პორტის ადმინისტრაციაში აცხადებენ, დახმარებისთვის გემის კაპიტანს მათთვის არ მიუმართავს. მათი ინფორმაციით, გემზე 16 ადამიანი იმყოფება. აქედან ორი რუსეთის, ხოლო 14 უკრაინის მოქალაქეა.

არცერთი მათგანი არ დაშავებულა. გემის რეიდზე დასაბრუნებლად სამაშველო სამუშაოები გამოდარებისთანავე დაიწყება.

მედიანიუსი

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის



საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

მირზაანში „ფიროსმანობა“ იზეიმეს

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ნიკო ფიროსმანის მშობლიურ სოფელ მირზაანში სახალხო დღესასწაული ფიროსმანობა 2013 გაიმართა. „უკვდავების კენ მიმავალ გზაზე“ – ასეთი გზავნილი შეარჩიეს წლევანდელი ფიროსმანობისთვის მისმა ორგანიზატორებმა.

ამ დღესასწაულთან დაკავშირებით დაგეგმილ ღონისძიების ოფიციალურ გახსნაზე შედგა მირზაანის ცნობილი გვარების – ფიროსმანაშვილების, გონაშვილების, ლაპიაშვილებისა და თარაშვილების წარდგინება, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით კი მოეწყო ახალგაზრდა მხატვრების ნამუშევრების გამოფენა სახელწოდებით „იპოვე შენი ფიროსმანი“. ფიროსმანობის დღესასწაულის ფარგლებში ჰამლეტ გონაშვილის 85 წლისთავისადმი მიძღვნილი სადღესასწაულიც გაიმართა. მთელი დღის განმავლობაში სახლ-მუზეუმის ეზოში ეწყობოდა ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა, გაცოცხლებული ფიროსმანის ნახატების წარდგინება და ტრადიციული ქიზიყურ-კახური კერძების დაგემოვნება.

თბილისში კი ყველის ფესტივალი ჩატარდა. „ქართული ყველის ათასწლეულები და მისი ევროპული მომავალი“ – ასეთი სლოგანი შეურჩიეს ფესტივალს. ორგანიზატორებმა. ფესტივალი ,,

სუპერლიგამ სტარტი აიღო

საკალათბურთო სუპერლიგის ახალი სეზონი ახალი გენერალური სპონსორით დაიწყო – ჩემპიონატს აზარტული თამაშების კომპანია „ევროპა ბეთი“ სპონსორობს.

2013-14 წლების სეზონში მონაწილეობას 9 გუნდი მიიღებს – შსს აკადემია, ოლიმპი, არმია, ქუთაისი, დინამო, სოხუმი, რუსთავი, ბათუმი და მაქაბი.

შარშანდელისგან განსხვავებით, წლევანდელ გათამაშებას საუნივერსიტეტო გუნდები გამოეთიშნენ, სამაგიეროდ ლიგას ჰყავს დებიუტანტი „მაქაბის“ სახით.

სუპერლიგის რეგულარული ჩემპიონატი 2 წრედ ჩატარდება, რის შემდეგაც 8 საუკეთესო გუნდი ჩემპიონობისთვის ბრძოლას მეოთხედფინალიდან გააგრძელებს. განსხვავებით წინა წლებისა, მომავალ სუპერლიგაში მეოთხედფინალები 3 მოგებამდე გაგრძელდება და ანალოგიურად იქნება ნახევარფინალურ და ფინალურ სერიებშიც.

ოლიმპი – ბათუმი 86:105
(11:22; 23:17; 15:31; 34:35)

მატჩი ეპიზოდურად იძაბებოდა, თუმცა მთლიანობაში ზღვისპირელთა უპირატესობით და მათი გამარჯვებით – 105:86 დასრულდა.

დავით თორთლაძის გაწვრთნილი „ოლიმპი“ მნიშვნელოვნად დასუსტდა. გუნდს დიკვალიფიკაციის გამო 10 მატჩით რიჩარდ მათიაშვილი გამოაკლდა, ხოლო რამდენიმე დღის წინ სპორტის სამინისტროს გუნდი ლაშა ფარღალავამ დატოვა. ეროვნული ნაკრების ყოფილმა წევრმა კარიერის გაგრძელება საზღვარგარეთ გადაწყვიტა და ირანში გამემგავრა.

ბათუმელები კი პირიქით – მიხეილ კობეშავიძის გუნდმა 3 ამერიკელი ლეგიონერი შეიმატა, რომელთა დახმარებითაც ზღვისპირელებს არ გასჭირვებიათ გამარჯვების მოპოვება. ჯუნიორ კადუგანმა, ჯერემი სეფოლდმა და ჯეიმ ჯექსონმა შესაბამისად 27, 26 და 30 ქულა მიითვალეს, რითაც ბათუმური გუნდის გამარჯვებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს.

პირველი ტაიმის შემდეგ მატჩს ინტრიგა შერჩნილი ჰქონდა – ბათუმელები 39:37 იგებდნენ, თუმცა მესამე მეოთხედში ოლიმპს დაცვაში თამაში აერია და ზღვისპირელები წინ გაიჭრნენ. მესამე პერიოდი სტუმრებმა 31:15 მოიგეს და მატჩის ბედი გადაწყვიტეს.

ბათუმელ მექანიკებზე ზემოთ მოგახსენეთ, ოლიმპელთაგან კი 10-ქულიანი ზღვარი ორმა მოთამაშემ დაძლია – ნოდარ გოგოძემ 18 ქულა მოაგროვა, ირაკლი მიქელაძემ კი – 17.

მატჩის შემდეგ

დავით თორთლაძე (ოლიმპი):

– ვულოცავ ბათუმს დღევანდელ მატჩში წარმატებას, მინდა აღვნიშნო, ყველასთვის სასიხარულოა რომ ამდენი წლის შემდეგ ბათუმი ძალიან ძლიერი გუნდით გამოდის ჩემპიონატზე. რაც შეეხება თამაშს, მადლობას ვეტყვი ჩემს ბიჭებს, ბოლომდე დაიხარჯნენ. თუმცა მოწინააღმდეგე ჩვენზე ძლიერი იყო და ღირსეულად გაიმარჯვეს.

მიხეილ კობეშავიძე (ბათუმი):

– ახალი შეკრებილები ვართ და პირველი თამაში იყო, ამიტომ შედეგით კმაყოფილი ვარ, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ იოლი გამარჯვებები გველის წინ. „ოლიმპს“ მათიაშვილი და ფარღალავა აკლდათ, რაც აისახა კიდეც შედეგზე. დაცვაში თამაშით უკმაყოფილო ვარ, ბევრი შეცდომა დავუშვით. მინდა მადლობა ვუთხრა ყველას, ვინც გვერდში დაგვიდგა, რათა წელს ასეთი შემადგენლობით გამოვსულიყავით.

ტარიელ თავართქილაძე (ოლიმპი):

– ვულოცავ ბათუმს გამარჯვებას. ჩვენ რიჩარდ მათიაშვილის არყოფნა დაგვეტყო და სამწუხაროდ, დავმარცხდით.

ჯერემი სეფოლდი (ბათუმი):

– ახალგაზრდა გუნდი ვართ, პირველი თამაში იყო და შედარებით შებოჭილად ვთამაშობდით, თუმცა გამარჯვება მოვახერხეთ და კმაყოფილები ვართ.

სოხუმი – ქუთაისი 57:81
(16:19; 9:19; 20:26; 12:17)

10 დღის წინ დუდუ დადიანი მემორიალის მომგებმა „სოხუმმა“ სუპერლიგა უხეიროდ დაიწყო. პირველი ტურის მატჩში სოხუმელებმა „ქუთაისთან“ უშანსოდ – 57:81 წააგეს.

როგორც ჩანს, დუდუ დადიანის მემორიალის მატჩებიდან ქუთაისლებმა სწორი დასკვნები გამოიტანეს. მაყურებელმა სულ სხვა „ქუთაისი“ იხილა, რომლის მოთამაშეებმაც ლეგიონერებით გაძლიერებული სოხუმი ზედმეტი გართულებების გარეშე დაამარცხეს.

ვაჟა კვარაცხელიას გუნდმა პეტერ ივანიჩისა და ჯოშუა ჯექსონის შემდეგ მესამე ლეგიონერი – ჯერომ სიმონსი დაიმატა, რომელმაც სადებიუტო მატჩში 7 ქულა მოაგროვა.

თანაბარი მხოლოდ პირველი მეოთხედი გამოდგა, რომელიც ქუთაისელებმა 19:16 მოიგეს. მეორე პერიოდიდან ქუთაისელებმა ინიციატივა მოიპოვეს და გამართული თამაშის წყალობით სოლიდურ ლიდერობას დაეპატრონნენ. დიდი შესვენებისთვის სტუმრები 13 ქულით იგებდნენ და ამაზე ახლოს მეტოქე თამაშის ბოლომდე აღარ გაიკარეს.

ქუთაისელებმა გუნდურად ითამაშეს. ხუთმა მათგანმა 10-ქულიანი ზღვარს მიაღწია, რომელთა შორისაც 16 ქულითა და 12 მოხსნით საუკეთესო აკაკი დვალიშვილი იყო. 16 ქულა, 7 მოხსნა და 7 პასი მიითვალა გოგა ცეკვავამ, ხოლო ზაურ ფაშაევმა და გიორგი ბარბაქაძემ თავი 12-12 ქულას მოუყარეს.

მატჩის შემდეგ

მედეა მხეიძე (ქუთაისი):

– გილოცავთ სეზონის დაწყებას და გისურვებთ ბევრ სანახაობრივ მატჩს, ყველა გუნდს ვუსურვებ წარმატებას. ნამდვილად კმაყოფილი ვარ დღევანდელი თამაშით, ბიჭებმა ზუსტად შეასრულეს მწვრთნელის მითითებები, დაცვაში ძლიერი თამაში აჩვენეს და თავდასხმაშიც იპოვეს თავიანთი თამაში, სამომავლოდ დიდი პოტენციალი არსებობს თითოეულ მოთამაშეში, თუმცა მომავალში შევეცდებით აქცენტი გუნდურ თამაშზე გავაკეთოთ.

ვაჟა კვარაცხელია (სოხუმი):

– ვულოცავ ქუთაისს ღირსეულ გამარჯვებას, ყველა კომპონენტში გვაჯობეს. მემორიალის მოგების შემდეგ ვერ მოვახერხეთ მობილიზება, დღეს ვერც ლეგიონერებმა ითამაშეს, სიმონსი ახალი ჩამოსულია და ჯერ გუნდთან ვერ შეთამაშდა, შვანგირაძე ტრავმირებული თამაშობდა. ბევრი ხარვეზი გვქონდა, ქუთაისმა შესანიშნავად ითამაშა და დამსახურებულად გაიმარჯვა.

დავით ბარბაქაძე (ქუთაისი):

– გილოცავთ სუპერლიგის დაწყებას. დუდუ დადიანზე ასპარეზობისას ბევრი შეცდომა დავუშვით, ხარვეზები გვქონდა, გუნდი კარგად შეკრებილი და მომზადებული არ იყო, თუმცა შეცდომები გავაანალიზეთ, განვიხილეთ და დღეს

სასურველი გამარჯვებაც მოვიპოვეთ. მადლობა მთელ გუნდს დღევანდელი თამაშისთვის, დიდი საბრძოლო ჟინით და მონდომებით გამოვედით და ამან შედეგი გამოიღო. ვთვლი, რომ ღირსეულმა გაიმარჯვა.

ნიკა მეტრეველი (სოხუმი):

– თამაში უყურადღებოდ დავიწყეთ. შეუთამაშებლები ვიკავით, ახალი მოთამაშე დაგვემატა და ავირიეთ, უფრო მობილიზებულები უნდა ვყოფილიყავით. თუმცა ეს მარცხი კარგი გაკვეთილი იქნება, შემდეგ ვარჯიშებზე უნდა მოვემზადოთ, რათა იგივე შეცდომები არ გავიმეოროთ.

არმია – რუსთავი 76:50
(26:16; 17:14; 15:6; 18:14)

მატჩი ვერ გამოდგა დაძაბული. თავდაცვის სამინისტროს გუნდმა ქვემოქართლელებს ისე მოუგო, წარმატების შანსი არ მიუცია.

გასული სეზონისგან განსხვავებით რუსთაველებს შედარებით სუსტი შემადგენლობა ჰყავთ და თან ტრავმებიც აწუხებთ. კოტდივუარელ სერჟ ასელაინს ფეხი სტკივა და ქვემოქართლელებს ვერ ეხმარება, ხოლო დღევანდელ მატჩში ტრავმები მალხაზ აბაიშვილმა, ლევან ხმელიძემ და ზურაბ მაჭავარიანმა მიიღეს. ყველაფერ ამის გათვალისწინებით რუსთაველებს დღევანდელ მატჩში შანსი არ ჰქონიათ.

„არმიამ“ პირველი ტაიმი 13 ქულით მოიგო, ხოლო მესამე პერიოდში რუსთაველებს ძირითადი გამთამაშებელი, მალხაზ აბაიშვილი დაუშავდათ და მეტოქეს წინააღმდეგობა ვეღარ გაუწიეს. კოტე ტუღუშის გუნდმა საბოლოოდ 26 ქულის სხვაობით – 76:50 მოიგო და სუპერლიგის ახალ სეზონში პირველი გამარჯვება მიითვალა.

არმიელთაგან 14 ქულით ბომბარდირი გიორგი შარაბიძე გახდა, მიხეილ ბერიშვილის ანგარიშზე კი 11 დაგროვდა. 9-9 ქულა მიითვალეს თეიმურაზ ბაბუნაშვილმა და ბუბა კვიმსაძემ. რაც შეეხებათ რუსთაველებს, 14 ქულით რევაზ ჩაჩანიძე გამოირჩა.

მატჩის შემდეგ

კოტე ტუღუში (არმია):

– გილოცავთ ყველას ჩემპიონატის განახლებას. მნიშვნელოვანია, როგორ დაიწყებ სეზონს და მიხარია, რომ გავიმარჯვეთ. სულ ცოტა ხნის წინ ვეთამაშეთ რუსთავს და დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა მათ დასამარცხებლად. ამიტომ, მოსალოდნელი იყო დაძაბული თამაში. ჩვენს მეტოქეს არ გაუმართლა და 3 მოთამაშე გამოეთიშა შეხვედრას, ეს ნებისმიერი გუნდისთვის დიდი დანაკლისია. იმედია, ისინი მალე დაუბრუნდებიან გუნდს და მომავალ ტურებში ბევრად სანახაობრივ თამაშს აჩვენებენ, წარმატებას ვუსურვებ მათ და კიდევ ერთხელ მოგილოცავთ ახალი სეზონის დაწყებას.

ოთარ ხმელიძე (რუსთავი):

– გილოცავთ სუპერლიგის ახალ სეზონს და ვულოცავ არმიას პირველ გამარჯვებას. ძალიან ცუდად დავიწყეთ, მეტოქე წინ 16 ქულითაც გავუშვით. როცა თამაში ვიპოვეთ, სწორედ მაშინ დაშავდა გუნდის ლიდერი, ამან ბიჭებზე ცუდად იმოქმედა. შემდეგ მაჭავარიანი და ბოლოს ხმელიძეც დაშავდნენ. ისედაც ორი ტრავმირებული კალათბურთელი გვაკლდა. არმიასთან შედარებით სუსტი გუნდი ვართ და მადლობელი ვარ ბიჭების, მათ ბოლომდე იბრძოლეს.

ანატოლი ბოისა (არმია):

– მეც გილოცავთ სეზონის განახლებას, ამ დღეს ყველანი დიდხანს ველოდებოდით. მადლობა რუსთავის გუნდს, ახალგაზრდა, პერსპექტიული გუნდია, სწრაფ კალათბურთს თამაშობენ და მომავალში წარმატებებს ვუსურვებ მათ. იმედია, გუნდის ტრავმირებული წევრები მალე დაუბრუნდებიან ფორმას.

დავით არწივიძე (რუსთავი):

– სუპერლიგის დაწყებას ნამდვილად მოუთმენლად ველოდებოდით. მინდა კოტეს მივულოცო პირველი გამარჯვება, არმიას ყოველთვის ძლიერი გუნდი ჰყავდა. სათქმელი უკვე ითქვა, შემადგენლობაში ისედაც პრობლემები გვქონდა და ახლა ამან უფრო სერიოზული სახე მიიღო. თამაშის ნახევარი საინტერესოდ წარიმართა, თუმცა შემდეგ უშანსოდ წავაგეთ. იმედია, შევძლებთ დავლაგდეთ, ჩვენი პოტენციალი გამოვიყენოთ და ჩემპიონატში წარმატებულად ვიასპარეზოთ.

მაქაბი – შსს 83:87
(10:18; 26:24; 30:28; 17:17)

სეზონის პირველივე მატჩი ძალიან დაძაბული და საინტერესო გამოდგა. უმაღლეს ლიგაში 3-წლიანი შესვენების შემდეგ დაბრუნებულმა „მაკაბიმ“ ქვეყნის ჩემპიონს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია, თუმცა გამარჯვების მოპოვება ვეღარ მოახერხა.

წინა სეზონისგან განსხვავებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდი ლეგიონერების გარეშე ასპარეზობს. შსს-ელებმა რამდენიმე დღის წინ დავით უგრეხელიძე დაიმატეს, რომელმაც დღევანდელ მატჩში ღირსეულად შეცვალა აკადემიელთა ტრავმირებული ცენტრი ილია ლონდარიძე.

პირველი მეოთხედი აკადემიელებმა 18:10 მოიგეს, რის შემდეგაც „მაკაბიმ“ თამაში გამოასწორა და ჩამორჩენას მეთოდურად ამცირებმა. გიორგი ფერიაშვილმა და ლევან რევაზაშვილმა შედეგიანი თამაშით მაკაბელებს ბოლო წუთებზე მატჩის მოგების შანსი უბოძეს. ყველაფერი ბოლო წუთზე გადაწყდა – აკადემიელებმა კონცენტრაცია ბოლომდე შეინარჩუნეს და პირველი გამარჯვება იზეიმეს – 87:83.

გამარჯვებულებს 22 ქულით ბექა ჩიკვილაძემ ულიდერა, მისმა თანაგუნდელმა მერაბ ბოძოლიშვილმა კი 20 ქულა და 6 პასი მიითვალა. რევაზ როგავას ანგარიშზე 15 ქულა და 9 პასი დაგროვდა. მაკაბელთა რიგებში 27 ქულითა და 11 მოხსნით საუკეთესო გიორგი ფერიაშვილი იყო, ლევან რევაზაშვილმა კი თავის გუნდს 22 ქულა შესძინა.

17-წლამდელები შემდეგ ეტაპზე გავიდნენ

საქართველო – ფარერები 2:0

თბილისი. მიხეილ მესხი

1:0 მიქელთაძე (15), 2:0 ჯობავა (80)

საქართველო: ქურდაძე, კეკლიშვილი, კაკიაშვილი, ქობულაძე, კომახიძე, მამუჩაშვილი, ლაშხია (ქორიძე 68), ბიძინაშვილი, მიქელთაძე (ნადარაია 80), ბერიძე (კიკნაძე 57), ჯობავა

ფარერები: ჰანსენი, ი. იაკობსენი (სამუელსენი 71), ვარდუმი, ბერგი, ელიასენი, ნილსენი, ჰომლსონი, კნუდსენი, ტ. იაკობსენი (ჰოგარიგი 55), ტომსენი (მიულერი 31), ოლსენი

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის საკვალიფიკაციო ეტაპის მე-11 ჯგუფში მორიგი მატჩი გამართა. პატარა „ჯვაროსნები“ „მიხეილ მესხზე“ ფარერების 17-წლამდელებს დაუპირისპირდნენ. ჩვენი ნაკრების თამაშამდე თავისი მატჩი გამანადგურებელი ანგარიშით მოიგო ჰოლანდიამ. „ნარინჯისფერები“ გორში, „თენგიზ ბურჯანაძეზე“ სან მარინოს შეხვდნენ და 12:0 გაანადგურეს. ჰოლანდიელებს უკვე 16 გოლი აქვთ გატანილი და არ არცერთი მიღებული, შესაბამისად, ჯგუფში პირველ ადგილს იკავებენ.

ჯგუფიდან 2 გუნდი გადის შემდეგ ეტაპზე, ვინ დაიკავებს პირველ ადგილს, ეს ჯგუფის დასკვნითი მატჩის შემდეგ გაირკვევა, რომელიც 22 ოქტომბერს, 15:30 საათზე, „მიხეილ მესხზე“ ჰოლანდიასა და საქართველოს შორის გაიმართება.

უშუალოდ საქართველო-ფარერების დაპირისპირება კი, ქართველების უპირატესობით დაიწყო. „ჯვაროსნებმა“ ანგარიში მე-16 წუთზე გახსნეს, გოლის ავტორი ბექა მიქელთაძეა. მანამდე მამუჩაშვილს ჰქონდა მომენტი, შემდეგ ჯობავა გავიდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ჰანსენმა დარტყმის საშუალება არ მისცა.

ამის შემდეგაც ქართველები აქტიურობდნენ და დროის უმეტეს ნაწილს მეტოქის ნახევარზე ატარებდნენ, თუმცა საგოლე მომენტამდე საქმე ვერ მიჰყავდათ.

მეორე ნახევარიც მასპინძლების აქტიურობით დაიწყო, თუმცა საწყის წუთებში სახიფათო ეპიზოდი არ შეუქმნიათ. 49-ე წუთზე ქართველმა 17-წლამდელებმა საჯარიმო გაითამაშეს, ბიძინაშვილმა მამუჩაშვილს გაუკეთა პასი, ამ უკანასკნელმა კარისკენ დაარტყა, არაზუსტად. არც ლაშხიას კუთხურს მოჰყოლია საინტერესო გაგრძელება.

59-ე წუთზე მიქელთაძეს ანგარიშის გაზრდის შესანიშნავი შესაძლებლობა მიეცა, მაგრამ მეკარემ დარტყმა არ დაანება. მიუხედავად ბევრი მცდელობისა, ამის შემდეგ ქართველ ფეხბურთელებს რეალური საგოლე მომენტი აღარ შეუქმნიათ.

მატჩის დამატებულ წუთებზე ფარერების ნაკრებმა რამდენიმე მეტ-ნაკლებად სახიფათო შეტევა განახორციელა, გოლი კი საკუთარ კარში მიიღო. ფარერები მთელი გუნდით საქართველოს ნაკრების საჯარიმოში იმყოფებოდა, ჯობავამ კი ამ მომენტით ისარგებლა და ცარიელ კარში გაიტანა.

შედეგები

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ნიუკასლი-ლივერპული 2:2
არსენალი-ნორვიჩი 4:1
მანჩესტერი-საუთჰემპტონი 1:1
სტოკი-ვესტ ბრომვიჩი 0:0
ჩელსი-კარდიფი 4:1
სუონსი-სანდერლენდი 4:0
ევერტონი-ჰალი 2:1
ვესტ ჰემი-სიტი 1:3

ინგლისი. ჩემპიონლიგა

ბლექპული-უიგანი 1:0
ბარნსლი-მიდლსბრო 3:2
ბლექბერნი-ჩარლტონი 0:1
ბოლტონი-უენსდი 1:1
იფსვიჩი-ბარნლი 0:1
იოვილი-ბრაიტონი 0:0
ლესტერი-ჰადერსფილდი 2:1
მილუოლი-ქარ 2:2
ნოტინგემი-ბორმნუთი 1:1
რედინგი-დონკასტერი 4:1
უოტფოტდი-დერბი 2:3

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

რეალი-მალაგა 2:0
ვალენსია-სოსიედადი 1:2
ოსასუნა-ბარსელონა 0:0
ესპანიოლი-ატლეტიკო 1:0
გრანადა-ხეტაფე 0:2

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ალავესი-ბარსელონა ბ 2:3
კორდობა-საბადელი 1:0
პონფერადინა-ტენერიფე 0:1
უელვა-ლუგო 3:3

იტალია. სერია ა

კალიარი-კატანია 2:1
მილანი-უდინეზე 1:0

იტალია. სერია ბ

აველინო-კარპი 4:1
ბრეშა-ჩიტადელა 4:1
კროტონე-ლანჩანო 1:2
მოდენა-რეჯინა 3:0
პადოვა-იუვე სტაბია 2:1
პესკარა-ლატინა 0:1
ტერნანა-ნოვარა 5:0
ტრაპანი-სპეცია 1:1
ემპოლი-ვარეზე 2:0

გერმანია. ბუნდესლიგა

ბრაუნშვაიგი-შალკე 2:3
აინტრახტი-ნიურმბერგი 1:1
ბაიერნი-მაინცი 4:1
დორტმუნდი-ჰანოვერი 1:0
ვერდერი-ფრაიბურგი 0:0
ჰერტა-გლადბახი 1:0

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ზანდჰაუზენი-დინამო 0:0
აუე-ბოხუმი 2:1

საფრანგეთი. 1 ლიგა

პსჟ-ბასტია 4:0
აიაჩო-ნანტი 0:1
მონპელიე-ლილი 0:1
რენი-ვალანსიენი 2:2
ევიანი-გენგამი 1:2

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ლანსი-ნიმი 1:0

ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი

იგლზი-ფეინოორდი 2:2
ვალვაიკი-როდა 1:2
უტრეხტი-ბრედა 4:2
ტვენტე-აიაქსი 1:1
ჰერენვენი-ვიტესი 2:3

ჩეხეთი. პრემიერლიგა

ტერეკი-ურალი 1:1
კრასნოდარი-ტომი 4:0
ანჟი-სპარტაკი 0:1

მოლდოვა. პრემიერლიგა

ჰიბერნიანი-სელტიკი 1:1
აბერდინი-დ.იუნაიტედი 1:0
კილმანროკი-როსი 2:0
მოზერველი-ჰართსი 2:1
სტ.მირენი-სტ.ჯონსონი 4:3

შვეიცარია. სუპერლიგა

ბაზელი-სტ.გალენი 3:0
თუნი-სიონი 1:0

ავსტრია. ბუნდესლიგა

ზალცბურგი-ინსბრუკი 6:0
ადმირა-გროდიგი 0:4
ვოლფსბურგერი-ნოიშტადი 1:1
რიდი-აუსტრია 1:1

ბელგია. პროლიგა

ლეუვენი-ბევერენი 4:2
გენკი-ლიერსი 4:0
ლოკერენი-გენტი 2:2
ოსტენდე-მეხელენი 0:3
სერკლი-ვარეგემი 1:1

თურქეთი. სუპერლიგა

ელაზიგი-ესკიშეჰირი 0:2
გალათასარა-ქარაბუქი 2:1
გენჩლერი-ქაშიმფაშა 1:3

საბერძნეთი. სუპერლიგა

ატრომიტოსი-ლევადიაკოსი 3:0
პაოკი-ასტერასი 2:0
პლატანიასი-ოლიმპიაკოსი 1:4

პოლონეთი. ექსტრაკლასა

ზავიშა-ვისლა 3:1
ზაგლებიე-ვიძევი 3:1
ლეჩნა-ლეხი 1:4

უკრაინა. პრემიერლიგა

ილიჩევეცი-შახტარი 1:3
კარპატი-დნიპრო 0:4
ვორსკლა-მეტალურგი(ზ) 2:1

დანია. სუპერლიგა

მიდტიულანდი-რანდერსი 1:1

შვედეთი. ალსვენსკა

გეფლე-სირიანსკა 2:0

ნორვეგია. ტიპელიგა

ტრომსო-ვიკინგი 4:3
სტარტი-რუსენბორგი 0:1

ბრაზილია. სერია ა

ფლუმინენსე-პონტე პრეტა 1:1
ნაუტიკუ-სანტოსი 1:5
კორინთიანსი-კრისიუმა 1:0

არგენტინა. პრიმერა დივიზიონი

კოლონი-ლანუსი 0:3
სან ლორენცო-ოლ ბოიზი 3:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მირზაანში „ფიროსმანობა“ იზეიმეს

დასაწყისი მე-8 გვერდზე

რა გადასცა. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილეები ალექსანდრე მარგიშვილი, ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ თოფჩიშვილი, მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ხელმძღვანელობა და აზერბაიჯანელი სტუმრები. ახლადგახსნილ კინოკლუბში ნაჩვენები იქნა რეზო ჩხეიძის მხატვრული ფილმი „ჯარისკაცის მამა“. პრემიერაზე სპეციალური სტუმრის სტატუსით მიწვიეს რეჟისორი რეზო ჩხეიძეც, ასევე კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი ნანა ჯანელიძე, მსახიობები და სხვა მიწვეული სტუმრები.

ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს ამ რეგიონში მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურული და საგანმანათლებლო დონის ამაღლებას კინემატოგრაფიის დარგში. მემორანდუმს ხელი მოაწერეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ და მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ისპანდიარ ქერიმოვმა.

„გორის დღეების“ ფარგლებში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და გორის მუნიციპალიტეტს შორის გორის კულტურის სახლის შენობაში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ახალი კინოკლუბის გახსნასთან დაკავშირებით თანამშრომლობის დოკუმენტს ხელი მოაწერეს მინისტრის მოადგილემ ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკიმ და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ დავით რაზმაძემ. მემორანდუმი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის გურამ ოდიშარიას მიერ ინიცირებული პროექტის „რეგიონებში კულტურის ცოცხალი კერების ამოქმედების შესახებ“ ფარგლებში გაფორმდა და ითვალისწინებს კინემატოგრაფიის პოპულარიზაციის მიზნით გორში კინოკლუბის ჩამოყალიბების და ფუნქციონირების ხელშეწყობას; ასევე, პროგრამების და პროექტების განხორციელების გზით, სკოლამდელი ასაკის ბავშვების და მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურული და საგანმანათლებლო დონის ამაღლებას. თანამშრომლობის დოკუმენტის ხელმოწერის თარიღი საგანგებოდ დაემთხვა ქალაქ გორის დღეებს. დღესასწაული სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებას მოიცავდა, რომლის მთავარი მიზანიც ქალაქის ტრადიციების, კულტურის, ისტორიის პოპულარიზაცია და გაცნობაა. გორის დღეების გახსნაზე სოფლის ნობათის და ქართული სამზარეულოს გამოფენა მოეწყო, ჩატარდა ქუჩის კალათბურთი და ფეხბურთი, სამაგიდო თამაშების ჩემპიონატი, მოეწყო ადგილობრივი ქორეოგრაფიული ანსამბლების კონცერტი, ანსამბლის „გორი“ და ქართული ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი, ელექტრონული და თანამედროვე მუსიკის ფესტივალი. ახალი ხმის მომღერლების კონცერტი, მულტი პულტის სამყაროს გმირების, ბორჯომის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრის წარმოდგენები, მოეწყო 3 დე ნახატის გახსნა, ნაჩვენები იქნა ნანა ჯანელიძის ფილმი „ნეტავი იქ თეატრი არის?!“, სტალინის სახელობის სკვერში ჩატარდა დეფილე, სადაც საკუთარი კოლექციები წარმოადგინეს დიზაინერებმა ანი ლომსესიანმა, ლალიკო სარკიაშვილმა, ლანა ბერუაშვილმა, პუსა ბოკამ, ჩატარდა როკმუსიკის ფესტივალი, სადაც სხვა ჯგუფებთან ერთად რობი კუხიანიძემ და აუტსაიდერმაც დაუკრა. ღონისძიებები გორის მუნიციპალიტეტისა და მოსწავლე ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ორგანიზებით გაიმართა.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამის ხელმძღვანელ მედეა მეტრეველთან და საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის დირექტორთან ქეთევან კიღურაძესთან ერთად ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე მიღწეულ წარმატებებზე ისაუბრა. პირველად ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველომ მნიშვნელოვანი ჯილდო მოიპოვა, გერმანიის ეროვნული ლიტერატურული პრემია ახალგაზრდულ ლიტერატურაში გადაეცათ თამთა მელაშვილსა და ნათია მიქელაძე-ბახსოლიანს რომანისთვის „გათვლა“. ფრანკფურტის ვიზიტის ფარგლებში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა სამინისტროს დელეგაციამ მინისტრის ხელმძღვანელობით ოფიციალური შეხვედრა გამართა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის მესვეურებთან, იურგენ ბოსსა და ტობიას ვოსთან. მხარეებმა ისაუბრეს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს სტუმარი ქვეყნის პროგრამაში მონაწილეობის შესახებ; შეხვედრაზე ასევე, შეთანხმდნენ წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოებისა და იმ ვალდებულებების შესახებ, რაც საქართველომ წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის მიმართულებით უნდა განახორციელოს. გაიმართა შეხვედრა ლონდონის წიგნის ბაზრობის დირექტორთან ქალბატონ ჯექს ტომასთან და ბრიტანეთის საბჭოს წარმომადგენლებთან, ლონდონის წიგნის ბაზრობასთან სამინისტროს სამომავლო თანამშრომლობის შესახებ.

გურამ ოდიშარიამ ესტონეთის კულტურის წარმომადგენლობით დელეგაციასაც უმასპინძლა. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ესტონეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში პრიტ ტურკი, „მანდარინების“ გადამღები ჯგუფის წევრები, მსახიობები, ესტონეთის ინსტიტუტის იგივე ესტონეთის კინოცენტრის წარმომადგენლები, ბიზნესმენები, ესტონეთის კულტურის აკადემიის დირექტორი ანზორ ბარკალაია, ასევე ეროვნული კინოცენტრის, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირისა და საქართველოში ესტონეთის საელჩოს წარმომადგენლები.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ და საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულმა ცენტრმა წარმოადგინა ესტონეთ-საქართველოს პირველი ერთობლივი სრულმეტრაჟიანი ფილმი „მანდარინები“, რომლის რეჟისორიც ზაზა ურუშაძეა. შეხვედრის შემდეგ დაიგეგმა ფილმის „მანდარინები“ დახურული საპრემიერო ჩვენება კინოთეატრ ამირანში. ფილმი აფხაზეთში მცხოვრები ესტონელის ოჯახში მოხვედრილი დაჭრილი ქართველისა და ჩეჩენი ჯარისკაცის ურთიერთობის შესახებ მოგვითხრობს. მთავარ როლებს ასრულებენ მიშა მესხი, გიორგი ნაკაშიძე, ზურაბ ბეგალიშვილი, ლემბიტ ულფსაკი, ელმო ნიუგანენი და რავიო ტრასსი. ფილმი ვარშავის „აკლასის“ საერთაშორისო კინოფესტივალზე საკონკურსო პროგრამაში მოხვდა და გაიმარჯვა კიდეც ნომინაციაში საუკეთესო რეჟისურა. ფილმის მხარდამჭერები არიან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ეროვნული კინოცენტრი, ევროპის საბჭოს კინოს განვითარების და მხარდაჭერის ფონდი ევრიმაჟი, ესტონეთის ეროვნული კინოცენტრი, ესტონეთის კინოს ფონდი და ესტონეთის კულტურის სამინისტრო. ფილმის „მანდარინები“ ნახვა 17 ოქტომბრიდან საქართველოს ყველა კინოთეატრშია შესაძლებელი. ფილმზე მუშაობდნენ სცენარის ავტორი და დამდგმელი რეჟისორი ზაზა ურუშაძე, ოპერატორი რეინ კოტოვი, დამდგმელი მხატვარი თეა თელია, კოსტიუმების მხატვარი სიმონ მაჩაბელი, კომპოზიტორი ნიაზ დიასამიძე, მონტაჟი ალექსანდრე კურანოვი, ხმის რეჟისორი ჰარმო კლასტე, ივო ფელტი, პროდიუსერები ივო ფელტი, ზაზა ურუშაძე, როლებში ლემბიტ ულფსაკი, ელმო ნიუგანენი, გიორგი ნაკაშიძე, მიხეილ მესხი, რავიო ტრასსი და ზურა ბეგალიშვილი.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში კომპოზიტორ არჩილ კერესელიძის საიუბილეო საღამო გაიმართა, რომელსაც კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები, მუზეუმის წარმომადგენლები და მიწვეული სტუმრები ესწრებოდნენ. პროექტის იდეის ავტორი და ორგანიზატორი მუსიკისმცოდნე ნია ბახტაძე იყო. როგორც გამოფენის გახსნაზე ითქვა, მიმდინარე წელს სახელოვან ქართველ კომპოზიტორს არჩილ კერესელიძეს დაბადებიდან 100 წელი უსრულდება. მუზეუმის ეზოში განთავსდა და საზეიმოდ გაიხსნა ბარელიეფი, ასევე შედგა კომპოზიტორის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ალბომის პრეზენტაცია. საიუბილეო საღამო კი საზეიმო კონცერტმა დაასრულა, რომელშიც მონაწილეობდნენ თეატრალურის კვარტეტი, დები ჭოხონელიძეები, ვაჟთა ვოკალური ტრიო „სიმი“, ანსამბლი „მუხამბაზი“, კომპოზიტორი და ჯაზპიანისტი გოგა შავერზაშვილი, ნეკა სებისკვერაძე, დათო არჩვაძე, სოფო გელოვანი, ნინო გულიაშვილი, ია შუღლიაშვილი, ჯგუფი „ბარძიმი“, ვაჟთა ვოკალური ტრიო.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმისა და საქართველოს ეროვნული არქივის ხელშეწყობით გაიმართა გერმანე გოგიტიძის წიგნის „ქართული კინოს წარსულიდან“ პრეზენტაცია. ღონისძიებას ესწრებოდნენ კინოხელოვანები, მწერლები, მსახიობები, კინოკრიტიკოსები, რეჟისორები და სხვა მიწვეული სტუმრები. როგორც პრეზენტაციაზე აღინიშნა, გერმანე გოგიტიძის, ცნობილი ქართველი კინოპროდიუსერის თაოსნობით, ალექსანდრე წუწუნავამ გადაიღო პირველი მხატვრული ფილმი „ქრისტინე“.

– საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, გამომცემლობა „საგას“ მიერ გამოცემული წიგნი აერთიანებს გოგიტიძის გამოუქვეყნებელი კინომემუარების თარგმანს, კრიტიკულ წერილებსა და საარქივო მასალებს 19 ფოტოთი. გამოცემას დართული აქვს გოგიტიძის სრული ბიოგრაფია, რომელიც აღწერს მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის აქამდე უცნობ ფაქტებს. ეს წიგნი არის პირველი მონოგრაფია ქართული კინოწარმოების პიონერზე, რისი საშუალებითაც საზოგადოება კიდევ უფრო ახლოს გაიცნობს ქართული კინოს ისტორიის საწყის ეტაპებს, – განაცხადა კულტურის სამინისტროს წარმომადგენელმა იამზე გვათუამ.

პრეზენტაციაზე ასევე ნაჩვენები იქნა გერმანე გოგიტიძის ორგანიზებით გადაღებული ქრონიკების ამსახველი კინომასალა „1919 წლის 26 მაისი“, „1920 წლის 26 მაისი“, სადაც წარმოდგენილია საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდში დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად გამართული ზეიმის დოკუმენტური კადრები.

ეროვნულმა მუზეუმმა ახალი მეცნიერული აღმოჩენა წარმოადგინა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა ახალი მეცნიერული აღმოჩენა წარმოადგინა. ეს არის მეხუთე თავის ქალა დმანისიდან. ჟურნალმა „საიენსმა“ (მეცნიერება), გამოაქვეყნა სამეცნიერო სტატია სახელწოდებით „სრული თავის ქალა დმანისიდან და ადრეული ჰომოს ევოლუციური ბიოლოგია“, რომლის ავტორები ქართველი მეცნიერები დავით ლორთქიფანიძე, აბესალომ ვეკუა და ანი მარგველაშვილი არიან, თანაავტორები კი სხვადასხვა ინსტიტუციის წარმომადგენელი უცხოელი მეცნიერები: ფილიპ რაიტმაიერი (ჰარვარდის უნივერსიტეტი), კრისტოფ ცოლიკოფერი, მარსია პონცე ლეონი (ციურიხის უნივერსიტეტი) და იოელ რაკი (თელავივის უნივერსიტეტი) გახლავთ.

– ამერიკული გამოცემა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალ რეიტინგული სამეცნიერო ჟურნალია, რომელიც ყოველკვირეულად აქვეყნებს მსოფლიო მეცნიერების მიღწევებისა და კვლევების შედეგებს. ამ ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება ნებისმიერი მეცნიერისათვის უდიდესი პატივია. დმანისის უმნიშვნელოვანეს აღმოჩენას ჟურნალი უკვე მესამედ უძღვნის ვრცელ სტატიას. 2000 წლის მსოფლიოს ათ უმნიშვნელოვანეს არქეოლოგიურ აღმოჩენათა შორის დმანისის პალეოანთროპოლოგიური მონაპოვარი მესამე ადგილზე იქნა დასახელებული. ეს აღმოჩენა საკმაოდ მნიშვნელოვანია ქართველი ერისთვის, – ამბობს ეროვნული მუზეუმის ხელმძღვანელი დავით ლორთქიფანიძე.

მისივე თქმით, ამ ჟურნალის გარეკანზე მოხვედრა ქართული მეცნიერების მსოფლიო აღიარების დამადასტურებელია.

სტატიაში განხილული ახალი (მეხუთე) თავის ქალა, რომლის ლაბორატორიულმა დამუშავებამ და უახლესი მეთოდების გამოყენებით მეცნიერულმა კვლევამ 8 წელს გასტანა, 2005 წლის არქეოლოგიური გათხრებისას 1,8 მილიონი წლით დათარიღებულ ფენაში აღმოჩნდა. ამავე ინდივიდს მიეკუთვნება 2000 წელს აღმოჩენილი ქვედა ყბა. ამ ნამარხებს პირველად გიორგი ნიორაძე და გოჩა კილაძე შეეხნენ. ეს ნიმუში ზრდასრული ინდივიდის ერთადერთი საუკეთესოდ შემონახული თავის ქალაა.

– აღნიშნული თავის ქალა პირველია, რომლის მიხედვითაც მეცნიერებს შეუძლიათ აქამდე უცნობი ადრეული ადამიანის ანატომიის შესწავლა. თავის ქალის ტვინის მოცულობა დმანისელებს შორის ყველაზე მცირეა (546 სმ3), რაც დაახლოებით თანამედროვე ადამიანის ტვინის ერთი მესამედია. მას ყველაზე მასიური, წინ წამოწეული სახე და დიდი კბილები აქვს. დმანისის კოლექცია მეცნიერებს პირველად აძლევს საშუალებას დააკვირდნენ და შეისწავლონ 1.8 მილიონი წლის წინანდელი პოპულაცია , – განმარტავს ეროვნული მუზეუმის ხელმძღვანელი.

მისივე თქმით, კვლევამ აჩვენა, რომ ძველ პოპულაციებშიც დიდი მორფოლოგიური მრავალფეროვნებაა. სტატიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ჰომოს“ გვარის წარმომადგენლები მათ შორის აფრიკაში აღმოჩენილი უძველესი ნამარხები ევოლუციის ერთ ხაზს წარმოადგენს. ეს აიძულებს მეცნიერებს გადახედონ დამკვიდრებულ მოსაზრებებს ადრეული ჰომოს რამდენიმე სახეობის არსებობის შესახებ.

ამავე ნომერში „საიენსი“ ბეჭდავს გამოჩენილი მეცნიერების კომენტარებს, მათ შორისაა ამერიკელი მეცნიერი ტიმ უაიტი, რომელიც აღნიშნავს: „ეს განსაკუთრებული ნამარხია, რომელიც დიდხანს იქნება მეცნიერთა ყურადღების ცენტრში“.

გამოფენაზე, დმანისში აღმოჩენილ მეხუთე თავის ქალასთან ერთად, წარმოდგენილ იქნა 1,8 მილიონი წლით დათარიღებული ცხოველთა განამარხებული ნაშთები და ქვის იარაღები. ღონისძიებაზე აგრეთვე შედგა დმანისის მუზეუმ-ნაკრძალის ახალი ვებ-გვერდის წარდგინებაც. ღონისძიება გაიმართა საეთაშორისო კონფერენციის „სამხრეთ კავკასიის როლი ადამიანის ადრეულ ევოლუციასა და განსახლებაში – რეფუგიუმი, გზაჯვარედინი თუ ხანგრძლივი საცხოვრებელი ადგილი?!“ ფარგლებში. კონფერენციაში მონაწილეობდა 50-მდე მეცნიერი საქართველოს, სომხეთის, გერმანიის, იტალიის, ამერიკის შეერთებული შტატების, ესპანეთისა და ისრაელის სამეცნიერო დაწესებულებებიდან.

– ამ აღმოჩენამ ძალიან ბევრი რამ შეცვალა. აფრიკაში მიაჩნდათ, რომ აფრიკაში აღმოჩნდა განვითარებული ჰუმინიდი, ევრაზიაში კი ის მილიონ-ნახევარი წლის შემდეგ გამოჩნდა. ეს აღმოჩენა ნაცარტუტად აქცევს ყველა აღმოჩენას. ფაქტია, რომ საკმაოდ ჩქარა ადამიანი გადმობარგდა ევრაზიაში და დასახლდა სამხრეთ კავკასიაში, სადაც არა მარტო კარგად ბინადრობდა, არამედ შთამომავლობაც შექმნა, – განაცხადა მეცნიერმა ბესარიონ ვეკუამ.

გასწორება

14 ოქტომბრის „ახალ თაობაში“ დაიბეჭდა სტატია სახელწოდებით „გიორგი მარგველაშვილმა დუმილი დაარღვია“, სადაც: „ყველა ბრალდება, რომელიც მარინა მიქაუტაძემ, გოგი დოლიძემ და გია ჭუბაბრიამ გაახმოვანეს, არის ყოვლად დაუსაბუთებელი, უტიფარი ტყუილი და ცილისწამება“-ს ნაცვლად, უნდა იკითხებოდეს: „ყველა ბრალდება, რომელიც მარინა მიქაუტაძემ და გია ჭუბაბრიამ გაახმოვანეს, არის ყოვლად დაუსაბუთებელი, უტიფარი ტყუილი და ცილისწამება“.

სჯანგოხდი



1. დიდი ზომის ქვეწარმავალი; 2. ... რიჩი; 3. სისწრაფე; 4. თხრობითი გაულექსავი ლიტერატურა; 5. საეკლესიო თანამდებობით ვაჭრობა შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში; 6. ... ანდერსენ ნექსე; 7. პიტალო კლდე; 8. სოფელი ლეჩხუმში; 9. იუპიტერი ძველქართულად; 10. მდინარე ევროპაში; 11. ბელორუსის დედაქალაქი; 12. ქალაქის მუნიციპალიტეტი; 13. ტვირთის სათავსი ადგილი გემზე; 14. უღირსი მშობლის ფულადი სასჯელი; 15. წონის ერთეული; 16. იგივეა, რაც მოჩვენება; 17. ბერნარ ... (ფრანგი ქართველოლოგი); 18. მდინარე გურიაში; 19. იალქანი; 20. დროის მონაკვეთი კრივში; 21. ზაფხულის თვე; 22. მარტივი ცილა; 23. ქართული ვოკალური კვარტეტი; 24. ასო „ფ“-ს სახელწოდება; 25. მზის სისტემის პლანეტა; 26. დამხმარე თეორემა; 27. ქალბატონი (ინგლისურად); 28. სიგრძის ძველფრანგული საზომი ერთეული; 29. ფრანგული ჯიშის ცხვარი; 30. „... დამაცადე!“; 31. ქალის სამოსელი; 32. სანელებელი; 33. ლამების გვარის სამხრეთამერიკული ცხოველი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. შატილი; 2. გრანიტი; 3. კელასური; 4. ორთაჭალა; 8. კალმასობა; 9. პერიკარდი; 11. „კარმენი“; 12. დოღი; 14. „ანჟი“; 16. გრიგოლია; 17, ბელკანტო; 19. „ნარიტა“; 21. კუკნა.

თარაზულად: 5. სერვანტი; 6. დაიმღერი; 7. უფლისციხე; 10. სუნამო; 13. ქართლი; 15. იღუმენი; 18. ღრეობა; 20. ნადალი; 22. „მირანგულა“; 23. დისკანტი; 24. ანდეზიტი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჟოქო; 2. ვეკუა; 3. ხაიამი; 5. „რუმბა“; 6. დილიჟანი; 8. ტროპოსფერო; 10. აზნაური; 12. „აირზენა“; 14. უოლესი; 15. მარინა; 16. ფლეში.

თარაზულად: 1. ჟენევა; 4. ორმუზდი; 7. ჰაკერი; 9. მყვარი; 11. ფორმოზა; 12. ავტობანი; 13. ბაწარა; 17. კოროზია; 18. პელე; 19. ინტელექტი; 20. „კოხინორი“.

უკრაინის რადაში კანონპროექტი შევიდა, რომელიც იულია ტიმოშენკოს საზღვარგარეთ მკურნალობის უფლებას მისცემს

უკრაინის რადაში განსახილველად შევიდა კანონპროექტი, რომელიც ქვეყნის ყოფილ პრემიერ-მინისტრს იულია ტიმოშენკოს საზღვარგარეთ მკურნალობის უფლებას მისცემს. ინფორმაციას ამის შესახებ უკრაინული მედია ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციით, კანონპროექტი ითვალისწინებს უკრაინის სისხლის სამართლის აღმსრულებელ და პროცესუალურ კოდექსში ცვლილებების შეტანას, რომელიც სამართლებრივ დონეზე დაარეგულირებს განსასჯელთა საზღვარგარეთ მკურნალობას.

თავის მხრივ, უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა განაცხადა, რომ მზად არის ხელი მოაწეროს კანონს, რომელიც ყოფილ პრემიერ იულია ტიმოშენკოს საზღვარგარეთ მკურნალობისთვის წასვლის საშუალებას მისცემს.

შეგახსენებთ, რომ ნოემბერში ვილნიუსში ევროკავშირის სამიტი გაიმართება, სადაც უკრაინასა და ევროკავშირს შორის ასოციაციის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა იგეგმება. ევროკავშირის წარმომადგენლებმა ცოტა ხნის წინაც განაცხადეს, რომ ტიმოშენკოს ირგვლივ არსებული ვითარების „გარკვევის“ გარეშე, ამ შეთანხმების ხელმოწერა წარმოუდგენელი იქნებოდა.

იანუკოვიჩმა რეპორტიორებთან საუბრისას დაადასტურა, რომ პარლამენტში უკვე დაწყებულია კანონპროექტზე მუშაობა, რომელიც ყოფილ პრემიერს იულია ტიმოშენკოს საზღვარგარეთ სამკურნალოდ წასვლის შესაძლებლობას მისცემს. თუმცა, პრეზიდენტ ტიმოშენკოს შეწყალებაზე არაფერი უთქვამს. შეგახსენებთ, რომ 2011 წელს ტიმოშენკოს უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

საუდის არაბეთის სამეფომ გაეროს უშიშროების საბჭოს დროებით წევრობაზე უარი განაცხადა

მთავრობის ოფიციალური განცხადებით, გაეროს უშიშროების საბჭოს არ აქვს უნარი მოაგვაროს კონფლიქტები და არაბეთის სამეფო იქ მხოლოდ მას შემდეგ გაწევრიანდება, როცა გაერო შესაბამის რეფორმებს ჩაატარებს. საუდის არაბეთმა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, სირიაში ორწლიანი სამოქალაქო ომისა და პალესტინა-ისრაელის კონფლიქტის მოგვარებაში გამოჩენილი უუნაროების გამო, ადრეც არაერთხელ გააკრიტიკა.

შეგახსენებთ, რომ გაერო ყოველ ორ წელიწადში, უშიშროების საბჭოს დროებითი წევრებისათვის 10 ადგილს გამოყოფს.

ხუთშაბათს გენერალურ ასამბლეაში გამართული ფარული ხმის მიცემის შედეგად საუდის არაბეთი, ლიტვასთან, ნიგერიასთან, ჩადთან და ჩილესთან ერთად 2014-2015 წლებში გაეროს უშიშროების საბჭოს არამუდმივ წევრად აირჩიეს.

უშიშროების საბჭო გაეროს მუდმივმოქმედი ორგანოა. გაეროს წესდების შესაბამისად, უშიშროების საბჭოს აქვს დაკისრებული მთავარი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებაზე. იგი უფლებამოსილია იმოქმედოს გაეროს ყველა წევრი სახელმწიფოს სახელით, რომლებიც ვალდებულნი არიან დაემორჩილონ მის გადაწყვეტილებებს და შეასრულონ ისინი. უშიშროების საბჭო განსაზღვრავს მშვიდობისათვის საფრთხის არსებობას, მშვიდობის დარღვევას, აგრესიის აქტს, იღებს რეკომენდაციებს და წყვეტს, რა ღონისძიებები უნდა გატარდეს მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების ან მისი აღდგენისათვის. უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს საერთაშორისო კანონის ძალა აქვს და საჭიროების შემთხვევაში, მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და სახიფათო სახელმწიფოების დამორჩილებისათვის ძალადობის გამოყენების უფლებასაც იძლევა.

უშიშროების საბჭოს 15 წევრი ჰყავს, მათგან 5 მუდმივი წევრია (აშშ, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, საფრანგეთი, ჩინეთი), დანარჩენი 10 კი ყოველ მეორე წელს აირჩევა გენერალური ასამბლეის მიერ. პროცედურულ საკითხებზე საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს მუდმივ წევრთა ერთსულოვანი თანხმობით (გადაწყვეტილება არ მიიღება, თუ მას მხარს არ უჭერს რომელიმე წევრი) და იგი სავალდებულია გაეროს ყველა წევრისათვის.

სამგლოვიარო განცხადებები

ნანული ჩხაიძის გახსენება

22 ოქტომბერი შენი დაბადების დღეა, მეხუთეჯერ ვხვდებით შენს დაბადების დღეს უშენოდ. 2009 წლის 1 იანვარმა (ახალი წელი) ჩემთვის დრო შეაჩერა და ცხოვრება გაუსაძლისი გახადა. დრო გადის, მაგრამ ტკივილი არ ყუჩდება, ძნელია უშენობა. ყველას ძალიან გვენატრები, მონატრება კი სევდაა, რომელსაც ვერასოდეს მოერევი.

მიყვარხარ, მენატრები, თვალებით გეძებ ყველგან; მხოლოდ იმით ვინუგეშებ თავს, რომ მარადისობაში კვლავ შევხვდებით ერთმანეთს და სულ ერთად ვიქნებით.

დაბადების დღეს გილოცავთ, ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული და ჩვენ მიერ ანთებული სანთლები გინათებდეს სამარადისო სამყოფელს.

სწორედ ამ დღეს, 22 ოქტომბერს, ჩვენ ყველანი შენს საფლავთან ვიკრიბებით შენს გასახსენებლად.

ნათელში იყოს შენი სული, ჩემო დიდო სიყვარულო და აწ უკვე გაუნელებელო ტკივილო.

შენი მეუღლე ოთარი, შვილები იგორი, ირინა, შვილიშვილები ნათია, გიორგი

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

რომის ქუჩებში მშვიდობიანი აქცია შეტაკებაში გადაიზარდა

რომში სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის გასაპროტესტებლად გამართული აქცია შეტაკებაში გადაიზარდა.

„ტურინ-ლიონის“ ჩქაროსნული სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის წინააღმდეგ გამოსულ მანიფესტანტებს პოლიციასთან შეტაკება მოუხდათ, რის შედეგადაც 20 სამართალდამცავი დაშავდა.

აქციაზე დაახლოებით 70 ათასი ადამიანი იმყოფებოდა, მათი ნაწილი ეკონომიკის სამინისტროს მიმართულებით დაიძრა და შენობას კვერცხები დაუშინა. ისინი თვითნაკეთ ბომბებს სამართალდამცველებსაც ესროდნენ, რის გამოც პოლიციას ცრემლსადენი გაზის გამოყენება მოუხდა.

ქალაქში მოძრაობა პარალიზებულია, დაკავებულია 16-დან 25 წლამდე ახალგაზრდები. დაზარალებულთა ზუსტი რიცხვი ჯერჯერობით უცნობია.

ქალაქში სიტუაცია კვლავ დაძაბულია. რომის რამდენიმე ცენტრალური ქუჩა გადაკეტილია. პოლიციამ წამყვანი სამინისტროებისა და უწყებების დაცვა გააძლიერა.

პროტესტანტებმა ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე კარვების ბანაკი გაშალეს და ღამით დარჩენას აპირებენ. მაგრამ ძირითად ტურისტულ რაიონებში სიმშვიდე შენარჩუნებულია.

ბუენოს-აირესში სარკინიგზო კატასტროფამ 100-მდე ადამიანი დაზარალა

არგენტინის დედაქალაქში სარკინიგზო კატასტროფის შედეგად რამდენიმე ათეული ადამიანი დაშავდა.

თვითმხილველთა განცხადებით, მემანქანემ მატარებლის შენელება ვერ მოახერხა, რის გამოც შემადგენლობა სადგურში, მგზავრების მოსაცდელ პლატფორმას შეეჯახა.

ბოლო ცნობებით, ინციდენტის შედეგად 100-მდე ადამიანი დაზარალდა. ახლოს მავალი რამდენიმე მატარებელი კი რელსებიდან გადავიდა.

მგზავრების განცხადებით, მატარებელს პრობლემები მგზავრობის დროსაც შეექმნა და მას სადგურიდან დაძვრა რამდენჯერმე გაუჭირდა.

მემანქანე საავადმყოფოში გადაიყვანეს. ის პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. სარკინიგზო სამსახურის წარმომადგენლები გამოძიებას შეუდგნენ.

მსგავსი შემთხვევა ბუენოს-აირესში 2012 წლის თებერვალშიც მოხდა, მაშინ ინციდენტს 50 ადამიანი ემსხვერპლა, 600 დაზარალდა. მემანქანემ განაცხადა, რომ მუხრუჭების გაუმართაობაზე დისპეჩერები არაერთხელ გააფრთხილა, მაგრამ მოძრაობის გაგრძელებაზე მითითება მიიღო.

ილჰამ ალიევმა საპრეზიდენტო ფიცი დადო

აზერბაიჯანის პრეზიდენტმა, ილჰამ ალიევმა საპრეზიდენტო ფიცი დადო. ინფორმაციას, ამის შესახებ, „რია ნოვოსტი“ ავრცელებს.

მათი ინფორმაციით, ზედიზედ მესამე ვადით არჩეული პრეზიდენტის ინაუგურაცია აზერბაიჯანის მილი მეჯლისში გაიმართა. ცერემონიალს ოფიციალური პირები, დეპუტატები, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები და დიპლომატები ესწრებოდნენ.

ილჰამ ალიევმა აზერბაიჯანის ჰიმნის დასრულების შემდეგ, ფიცი ყურანზეც დადო და განაცხადა, რომ ეროვნული ფასეულობებისა და ტრადიციების ერთგული იქნება.

„ვფიცავ, რომ აზერბაიჯანის პრეზიდენტობისას ქვეყნის კონსტიტუციის მიხედვით ვიმოქმედებ, დავიცავ სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და მის ტერიტორიულ მთლიანობას, ღირსეულად ვემსახურები ხალხს“, – განაცხადა აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა.

ალიევმა 9 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა 84 პროცენტით. მეორე ადგილი დაიკავა ოპოზიციურმა კანდიდატმა, ჯამილ ჰასანლიმ, ხუთ-ნახევარი პროცენტით. ჰასანლიმ განაცხადა, რომ არჩევნები გაყალბდა და სასამართლოშიც შეიტანა სარჩელი.

პრეზიდენტმა არჩევნებს დემოკრატიის ტრიუმფი უწოდა და მადლობა გადაუხადა თანამოქალაქეებს მხარდაჭერისთვის. საერთაშორისო მეთვალყურეებმა აზერბაიჯანის არჩევნები უარყოფითად შეაფასეს. კენჭისყრის დროს სერიოზული დარღვევები მოხდა, თვლის ეუთო.

ილჰამ ალიევი ქვეყნის პრეზიდენტად ზედიზედ მესამე ვადით აირჩიეს. საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატს მესამე ვადით მონაწილეობის უფლება 2009 წლის რეფერენდუმის შემდეგ მიეცა. ქვეყნის მოსახლეობის 87%-მა მხარი დაუჭირა კონსტიტუციური ნორმის შეცვლას, რომლის თანახმადაც, საპრეზიდენტო კანდიდატს არჩევნებში მონაწილეობა ზედიზედ მესამე ვადით ეკრძალებოდა.

საბერძნეთის პოლიციას ბოშათა ბანაკში ნაპოვნი ბავშვის ვინაობის დადგენა სურს

საბერძნეთის პოლიცია საერთაშორისო მასშტაბით ითხოვს დახმარებას, რათა დაადგინოს ხუთი წლის გოგონას, ბოშათა ბანაკში ნაპოვნი ბავშვის, ვინაობა. ადამიანები, ვისთანაც გოგონა ნახეს, მისი ღვიძლი ნათესავები, როგორც ანალიზმა დაადგინა, არ არიან. პოლიციის ცნობით, გოგონა ქერათმიანია, თეთრი კანის ფერით და მწვანე თვალებით. ვარაუდობენ, რომ გოგონა ან გატაცებული, ან გაჩენის შემდეგ, დედის მიერაა მიტოვებული. ბოშათა წყვილი დააკავეს და მათ მიმართ საქმე აღიძრა. გოგონა ბავშვთა თავშესაფარში მოათავსეს.

საბერძნეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ეჭვობენ, რომ ის აღმოსავლეთ ევროპაში ან სკანდინავიაში დაიბადა.

წყვილს, ვისთანაც პატარა მარია იპოვნეს, ათზე მეტი ბავშვის დოკუმენტაცია აღმოაჩნდა, რომლებიც ქვეყნის სხვადასხვა მხარეს და სხვადასხვა ნომრებში არიან დარეგისტრირებული. აღნიშნულ დოკუმენტაციაში ჩანდა, რომ წყვილს ათი თვის განმავლობაში, ექვსი შვილი შეეძინა. კითხვას, თუ საიდან მივიდა მათთან მარია, ბოშებმა პასუხი არ გასცეს.

გარემოს ერთ-ერთი ყველაზე საშინელი ფაქტორი დაბინძურებული ჰაერია

ჰაერში დამაბინძურებელი ნივთიერებები ერთმნიშვნელოვნად იწვევს კიბოს, აცხადებს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია. მან ჰაერის გაჭუჭყიანება, გარემოს ყველაზე დამაბინძურებელი ფაქტორების სიაში შეიტანა, რასაც კიბომდე მივყავართ, წერს „ბი-ბი-სი“.

კერძოდ, ჭუჭყიანი ჰაერი იწვევს ფილტვების კიბოს. დაბინძურების წყაროს წარმოადგენენ მანქანები, ელექტროსადგურები, სოფლის მეურნეობასთან, მრეწველობასთან დაკავშირებული ნარჩენები, ასევე სახლების გათბობასთან დაკავშირებული სისტემები. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის აზრით, სხვადასხვა ქვეყნების მთავრობებმა სასწრაფოდ ზომები უნდა მიიღონ.

კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტომ ჰაერის დაბინძურება თამბაქოსთან, მზის გამოსხივებასა და პლუტონიუმთან გაათანაბრა. ექიმებმა იციან: დაბინძურება გულისა და ფილტვების ავადმყოფობებს იწვევს. ახლა კი, ისინი კიბოზე საუბრობენ. ბოლო მონაცემებით, მთელ მსოფლიოში ჰაერის დაბინძურებამ, ფილტვების კიბოს შედეგად 223 სასიკვდილო შემთხვევა გამოიწვია.

დაღუპვის 50%-ზე მეტი ჩინეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებზე მოდის. მაგალითად, სწრაფმა ინდუსტრიალიზაციამ იქამდე მიიყვანა, რომ პეკინი და სხვა მსხვილი ქალაქები სმოგით არის დაფარული. სხვათაშორის, ცალკეული კვლევები ჰაერის დაბინძურებას ასევე შარდის ბუშტის კიბოს უკავშირებენ.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

TV პროგრამა

ოთხშაბათი

21 ოქტომბერი

07.30 "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.15** "ნოსტალგია" – მხ/ფ "**კუზიანი**" (ჟ.მარე) **17.00** დ/ფ "მეცნიერება ფილმებში" **18.00** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **22.20** "საფეხბურთო მიმოხილვა" (პ/ე) **23.20** მხ/ფ "**ძვირფასი მეგობრები**" (ა.ვილაჯო) **01.30** დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები"

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ოდისეები" – "საბერძნეთი – ათენი" **08.30** მხ/ფ "**სოსბარი მისტერ ბარნანდერი**" (ლ.ჯეფრისი) **10.20** დ/ფ "მსოფლიოს ოდისეები" – "დიდებული დუნაი" **10.50** მხ/ფ "**დაძაბე გონება**" (ს.კარელი) **12.45** დ/ფ "მსოფლიოს ოდისეები" – "ჩეხეთის რესპუბლიკა" **13.15** მხ/ფ "**ბზა და კაპშირი**" (კ.ბეიკონი) **15.00, 17.00, 21.00, 23.00** "ბრიფინგის დრო" **16.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "ეპიცენტრი" (პ/ე)

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.35** ქრონიკა **10.05** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **11.25, 12.05** სერ. "**ცივი გული**" **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05** ფუნთან თამაში (**05.10.13** გ/ჩ) **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **20.50** სერ. "**სილა**" **21.50** თოქ შოუ: თეა სიჭინავა – პოლიტიკის დრო (პ/ე) **23.30** EMERGENCY – სასწრაფო დახმარება **00.20** მხ/ფ "**ოჯახის ღირსება**" (კ.ტერნერი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ. "**ბრაზილიის გამზირი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" **17.00** ვანოს შოუ (პარასკევის **18.50, 19.50** სერ. "**ტბების დრო**" **22.00** ნიჭიერი **00.00** სპორტ ტაიმი **01.00** შიშის ფაქტორი **29 02.00** მხ/ფ **04.00** კურიერი დაიჯესტი

ერთსულოვნება **06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** ეთნოგრაფია **06.25** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.50** მხ/ფ "**გაზაფხული გადის**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.35, 21.15** ლექსით ქებათა ქება **10.40** კვირიაკე **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**ქალაქი ანარა**" **13.20** ქართული მულტფილმი **13.40** დოკ/ფ "საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი" **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმი **15.00** განთიადის სტუმარი **15.25** სპექტაკლი "**ნეაპოლი მილიონერთა ქალაქი**" **17.10** კონცერტი - ელისო ვირსალაძე და ნატალია გუტმანი I ნაწ. **18.10** დიდ ხარ შენ, უფალო **18.25** კვირიაკეს სიუჟეტი "საქართველოს ეკლესიის ისტორია" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**უღმერთოთა ღამე**" **20.40** ძილი ნებისა **21.20** საღვთისმეტყველო საუბრები **22.30** მოკ/ფ "**ახალგაზრდა სიყვარული**", "**ქარუსელი**" (რეჟ.მიხეილ კობახიძე) **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "დრო და ტრადიციები" ქართულ-ებრაული ურთიერთობები გად. V **23.40** დოკ/ფ "სტუმრად თუშებთან" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**მე ბებია ილიკო და ილარიონი**"

მაესხრო **7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები (კოლაჟი). **7.40** მულტფილმი სონიკ- ხ. **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა. **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **10.15 სერიალი "ღრუბლებს მიღმა"** (გამ) . **12.50** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი/(გამ.). **16.00 სერიალი "რთული გზა"**. **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური აბები" (გამ.). **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). **19.00 სერიალი "ასი"**. **21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე"**. **23.00, 3.15** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

21 ოქტომბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6635	ევრო — 2,2788
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6975	100 რუსული რუბლი — 5,2236

ამინდის პროგნოზი 21 ოქტომბრისთვის

მალე!

ქართული დეტექტივი

ტომი 3

იორამ ჩადუნელი

საზღაური

უკვე გამოსულია

ტომი 1 ..... მგლის ბილიკი
ტომი 2 ..... შავი ვარდი

სს „თიბისი ბანკი“
ა/ნ: GE38 TB76 6654 5161 6000 02
დარეკეთ:
09 01 70 00 56

დღეს ყველანი გვჭირდებით!

ვაჩუქოთ მაია მიქაუტაძეს სიცოცხლე!

კუნძულ უტოიაზე მოკლული ლიპარტელიანების ოჯახი დახმარებას ითხოვს – 100.000 დოლარი სიცოცხლის გადასარჩენად!

25 წლის მაია მიქაუტაძეს დაუდგინდა მწავავე ლეიკემია, რის გამოც ესაჭიროება გადაუდებელი ოპერაცია – ძვლის ტვინის გადანერგვა. ოპერაციის ჩატარების სირთულიდან გამომდინარე, საქართველოში მისი გაკეთება შეუძლებელია. მაიას ოპერაცია უნდა ჩაუტარდეს თურქეთში, რაც, სამწუხაროდ, დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. ოპერაციის ღირებულება შეადგენს მინიმუმ 100.000$, რომლის მოგროვების საშუალებაც ოჯახს დამოუკიდებლად არ გააჩნია.

უმორჩილესად გთხოვთ, თქვენი შესაძლებლობიდან გამომდინარე, აღმოუჩინოთ მაიას ნებისმიერი სახის დახმარება და ერთად გადავარჩინოთ მისი სიცოცხლე.

ჯოსვოხდი

თარაზულად: 6. ნაგვის ასაღები ნიჩაბი; 7. რეგრესის საპირისპირო; 8. ინფექციურ დაავადებათა გამომწვევი მიკროორგანიზმი; 9. რუსული ხალხური სიმებიანი საკრავი; 10. ბუნებრივი ქიმიური ნაერთი ან ელემენტი; 11. რვიანის ფორმის ფუნთუშა; 15. წინა აზიის ძველი ენების (ასურული, ბაბილონური, ...) და კულტურის სპეციალისტი; 17. ყვავილი; 19. ბრმადმორწმუნეობა; 21. იბნ სინა ანუ ... (პოეტი, ექიმი, ფილოსოფოსი); 22. უზომო შექება, ხოტბა; 23. მოხეტიალე მუსლიმანი ბერი.

შვეულად: 1. დაუმტკიცებლად მიღებული თეორემა; 2. გრძელი, დახურული მსუბუქი ავტომობილი; 3. პატარა მოთხრობა; 4. სახელმწიფო აფრიკაში; 5. ადამიანი, რომელიც საცხოვრებელს იცვლის; 8. რისამე ნაირსახეობა; 12. ერთ-ერთი თითი; 13. ჯონ აპდაიკის რომანი; 14. ლითონის სამკაული (ბალთა, აბზინდა) სამოსელზე (მოძვ.); 16. ტრანკვილიზატორი; 18. ავადმყოფური მიდრეკილება რაიმესადმი; 20. ერთხმიანი საოპერო სიმღერა.

შეადგინა ოლივერ კოხიამ



ლანა ღოღობერიძეს ვარსკვლავი გაუხსნეს

ეკა ირემაშვილი

კინორეჟისორ ლანა ღოღობერიძეს 85 წლის იუბილესთან დაკავშირებით კინოთეატრ „რუსთაველის“ წინ ვარსკვლავი საზეიმო ვითარებაში გაუხსნეს. იუბილარი ხელოვანის სახელობითი ვარსკვლავის გახსნის პატივი წილად ხვდა ელდარ შენგელაიას. ეს მნიშვნელოვანი მოვლენა ლანა ღოღობერიძეს მისმა კოლეგებმა, მეგობრებმა, ოჯახის წევრებმა, მსახიობებმა და რიგითმა მაყურებლებმა მიულოცეს.

ვარსკვლავის გახსნამდე კი კინოთეატრ „რუსთაველში“ იუბილარი რეჟისორისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო გაიმართა, სადაც წარმოდგენილი იყო ნაწყვეტები მის მიერ გადაღებული ფილმებიდან. კინოთეატრში შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართეს ცნობილმა რეჟისორებმა და საზოგადოების წარმომადგენლებმა.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ლანა ღოღობერიძის იუბილესთან დაკავშირებით საიუბილეო მიღება გამართა. კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ კინორეჟისორი ხელოვნებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის სამინისტროს სპეციალური პრიზით „ხელოვნების ქურუმით“ დააჯილდოვა. დაჯილდოებასთან ერთად, შედგა რეჟისორის თარგმანების „რუსული პოეზიის“ პრეზენტაცია, ასევე გამოიფინა ლანა ღოღობერიძის ნამუშევრები. აკრილითა და პასტელით ნახატი კოლექცია რეჟისორის მიერ 90-იან წლებში საფრანგეთშია შესრულებული. ეს ექსპონატები ორჯერ სტრასბურგშიც გამოიფინა.

კრებული „რუსული პოეზია“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი, ქართული კინემატოგრაფიის წარმომადგენლები, მწერლები, ეროვნული კინოცენტრის დირექტორი ნანა ჯანელიძე და სპეციალურად მიწვეული სტუმრები.

როგორც შეხვედრაზე ითქვა, ლანა ღოღობერიძე არის ყველა იმ ფილმის სცენარის თანაავტორი, რომლის რეჟისორიცაა, მათ შორისაა „ერთი ცის ქვეშ“, „მე ვხედავ მზეს“, „ფერისცვალება“, „როცა აყვავდა ნუში“, „აურზაური სალხინეთში“, „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, „დღეს ღამე უთენებია“, „ორომტრიალი“, „ვალსი პეჩორაზე“, ასევე ავტორია მონოგრაფიისა უოლტ უიტმენის შესახებ. ნათარგმნი აქვს უოლტ უიტმენის, თაგორის, ვერლენის, ახმატოვას, პასტერნაკის ლექსები.

ლანა ღოღობერიძე 85 წლის წინ თბილისში დაიბადა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დასრულების შემდეგ სწავლა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში კინემატოგრაფიის ფაკულტეტზე გააგრძელა. მან მიიღო ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის წოდება. სხვადასხვა წლებში მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“, იყო მისი დირექტორიც, ხელმძღვანელობდა რუსთაველის თეატრის რეჟისორთა სტუდიას, მოღვაწეობდა საქართველოს სრულუფლებიან ელჩად ევროპის საბჭოში, ასევე იყო საქართველოს ელჩი საფრანგეთში.

ლანა ღოღობერიძის შემოქმედება სხვადასხვა დროს არაერთი მნიშვნელოვანი პრიზით და პრემიით აღინიშნა, მათ შორის ფილმმა „როცა აყვავდა ნუში“ მიიღო საკავშირო კინოფესტივალის პრემია საუკეთესო რეჟისორული ნამუშევრისთვის, სურათს „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“ მიენიჭა სან-რემოს საავტორო ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალის გრანპრი, ამავე ფილმმა მიიღო საკავშირო კინოფესტივალის პრემია საუკეთესო ფილმისთვის, ასევე საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია. ფილმს „დღეს ღამე უთენებია“ მიენიჭა კანის კინოფესტივალის მაყურებლის პრიზი და საკავშირო კინოფესტივალის ჟიურის სპეციალური პრიზი. ლანა ღოღობერიძის ნამუშევარმა „ორომტრიალმა“ კი მიიღო ტოკიოს საერთაშორისო კინოფესტივალის პრიზი საუკეთესო რეჟისორული ნამუშევრისთვის.

ლანა ღოღობერიძე:

– მართლა ძალიან ბედნიერი ვარ, მართლა ნამდვილი სიყვარული ვიგრძენი, ისეთი კარგი სიტყვები ითქვა და მაყურებელიც ისე შეხვდა ამ ყველაფერს, რომ მართლა უზომოდ ბედნიერი ვარ.

დათო ოქიტაშვილი:

– მნიშვნელოვანი დღეა, რადგან კინო „რუსთაველის“ წინ რიგით მეცხრე ვარსკვლავი გაიხსნა და ის ეკუთვნის, შემიძლია ხმამაღლა ვთქვა, დიდ ქართველ რეჟისორს, ქალბატონ ლანა ღოღობერიძეს. 85 წლის ასაკში ქალბატონი ლანა კიდევ აგრძელებს მუშაობას. მჯერა, რამდენიმე წელიწადში ისევ შევიკრიბებით და მოხდება იმ ახალი ფილმის პრემიერა, რაზეც ქალბატონი ლანა დღეს მუშაობს.

ფანი არდანი თბილისში ჩამოდის

ეკა ირემაშვილი

ფრანგული ინსტიტუტი საქართველოში და ეროვნული კინოცენტრი თბილისში ფრანგ მსახიობ ფანი არდანს უმასპინძლებენ. მსახიობი და რეჟისორი თბილისში 24 ოქტომბერს ჩამოვა და მარჯანიშვილის თეატრის დიდ სცენაზე მასტერკლასს ჩაატარებს.

როგორც ფრანგულ ინსტიტუტში განმარტავენ, ფანი არდანი მასტერკლასს ჩაატარებს სამსახიობო ოსტატობაზე და მასზე დასწრება ნებისმიერ მსურველს თავისუფლად შეეძლება.

მასტერკლასის დასრულების შემდეგ, 24 ოქტომბერსვე, საღამოს კინოთეატრ „რუსთაველში“ ფანი არდანის ერთ-ერთი ბოლო ფილმის „აკვიატებული რითმების“ ჩვენება გაიმართება. ამჯერად ფილმზე დასწრება მხოლოდ მოსაწვევებით იქნება შესაძლებელი.

ფანი არდანი ფრანგული კინოს ლეგენდად არის მიჩნეული. მან, მსახიობობასთან ერთად, რეჟისორობაც დაიწყო და ფრანგული კინოს მოყვარულებს თავისი კინონამუშევრებიც წარუდგინა. ამჯერად ხელოვანის ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარი თბილისში იქნება წარმოდგენილი.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ საქართველოში ჩამოსვლის სურვილი ფანი არდანმა თავად გამოთქვა.



გორგოძე ტულონში ჩაირიცხა

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებისა და საფრანგეთის „ტოპ 14“-ის კლუბ „მონპელიეს“ მოთამაშე მამუკა გორგოძე კლუბს იცვლის. 29 წლის გორგოძე ახალი სეზონიდან ფრანგული ლიგის გრანდ „ტულონში“ ითამაშებს, სადაც მსოფლიო დონის სხვა ვარსკვლავებთან ერთად იბრძოლებს უმაღლესი ტიტულებისათვის.

საქართველოს საუკეთესო მორაგბის „ტულონში“ გადასვლის შესახებ ინფორმაცია თავდაპირველად ფრანგულმა გაზეთმა „ეკიპმა“ გაავრცელა, რაც შემდეგ თავად მორაგბემ დაადასტურა.

გორგოძე „ტულონს“ 3 პლუს 1 წლიან კონტრაქტზე შეუთანხმდა, ახალ კლუბში კი საქართველოს 2011 წლის საუკეთესო სპორტსმენად აღიარებული მამუკა გორგოძე 2014 წლიდან გადავა.

გორგოძემ „მონპელიეში“ ბოლო 9 სეზონი გაატარა, ქართველი მორაგბის საკუთარ რიგებში ხილვა ფრანგული ლიგის სხვა გრანდებს – „პერპინიანს“ და „კლერმონსაც“ სურდათ, თუმცა, მამუკა ტულონელებს შეუთანხმდა. **მ. ჯ.**

ასტროპროგნოზი
21 ოქტომბრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

ეს დღე მშვიდად გაატარეთ

ვერძი – ფული გაქვთ, პრობლემა არ გაწუხებთ. **კურო** – არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **ტყუპები** – მხიარულ ხასიათზე ხართ, ასე განაგრძეთ. **კირჩხიბი** – თქვენს ცხოვრებაში დიდი სიახლეა. **ლომი** – ახალი პროექტი გაამართლებს, იაქტიურეთ. **ქალწული** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** – ფული გაქვთ, მაგრამ მთლიანად არ დახარჯოთ. **ღრიანკალი** – შემოსავლის ახალი წყარო გამოჩნდება, გახარებული ხართ. **მშვილდოსანი** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმუშავეთ. **თხის რქა** – იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, სწორედ რომ დროულია. **მერწყული** – ყურადღების ცენტრში ხართ და ეს გსიამოვნებთ. **თევზები** – გზიდან ახლობელი ჩამოდის, მისი შემოთავაზესსბა საინტერესო აღმოჩნდება.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!